ISSN 0132— 6973

140
1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

11
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს

# მ ი მ ა რ თ ვ ა

# ჩვენი ქვეყნის ნორჩი ლენინელებისადმი

## ძვირფასო ყმაწვილებო!

ყოველთვის, როცა დგება ეს დღე — 2 ოქტომბერი, მილიონობით საბჭოთა ადამიანის ფიქრი მიმართულია შორეული 1920 წლისაკენ. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ჯერ კიდევ საჭირო იყო ბრძოლა ახალი ცხოვრებისათვის, მოსკოვში კი, კომკავშირის III ყრილობაზე შეიკრიბნენ ახალგაზრდა რესპუბლიკის ახალგაზრდა დამცველები და მომავალი მშენებლები. 1920 წლის 2 ოქტომბერს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს სიტყვით მიმართა ვ. ი. ლენინმა. მან თქვა, რომ კომუნიზმს ვერ ჩაწვდები მარტო სახელმძღვანელოებით, კომუნიზმის შესწავლა ნიშნავს შეაერთო ცოდნა და შრომა, მხოლოდ მუშებსა და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდე ნამდვილი კომუნისტი — ახალი, რევოლუციური ზნეობის ადამიანი.

ლენინის სიტყვა კომკავშირის III ყრილობაზე, ახალგაზრდობისადმი ლენინის ანდერძი კომკავშირელთა და პიონერთა ყველა თაობის ცხოვრებისა და ბრძოლის პროგრამად, გზის მანათობელ ვარსკვლავად იქცა.

ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციას კეთილ და დიდი ხნის ტრადიციად აქვს — ლენინის სიტყვის წლისთავზე სტარტს იღებს ახალი პიონერული საქმეები. ახლაც, 2 ოქტომბერს იწყება საკავშირო მარშის ახალი ეტაპი. მისი დევიზი — „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები!“ — შრომისა და ძიების, სწავლისა და შემოქმედების, ვაჟკაცობისა და რომანტიკის გზებზე გიხმობთ თქვენ, ძვირფასო გოგონებო და ბიჭუნებო. მარშის საქმეები დაგეხმარებათ, რომ უკეთ ისწავლოთ, შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანოთ საერთო-სახალხო შრომაში, იყოთ უფრო ინიციატივიანნი და მიზანმიმსწრაფნი, შეუდრეკლად ებრძოლოთ ნაკლოვანებებს, განამტკიცოთ დისციპლინა და ორგანიზებულობა, უფრო აქტიურად გაუდგეთ გზას მარშის მარშრუტებით.

ჩვენი ქვეყანა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის შესახვედრად ემზადება და ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი მიძღვნილი მარში პიონერთა რიგების საბრძოლო დათვალიერებად უნდა გადაიქცეს.

მშრომელი ხალხის, შემოქმედი ხალხის შვილებიც მარჯვე, ყაირათიანი და ჩვენი მიწა-წყლის მზრუნველი ბატონ-პატრონები, ცოდნის მოყვარულები, მაძიებელნი, კეთილები, გამბედავნი და ძლიერნი იზრდებიან.

უფროსები — კომუნისტები და კომკავშირელები საჭიროებენ არა მარტო თქვენს სიტყვას, არამედ თქვენს საქმეებს, თუნდაც, ერთი შეხედვით, მოკრძალებულს.

მუდამ გახსოვდეთ, არ არსებობს მცირე საქმე, თუ ის ხალხისა და სამშობლოსათვის სასარგებლოა. სწორედ ამ საქმეებითა და ქცევით აფასებს ხალხი პიონერებს და პიონერთა ორგანიზაციას.

დაე, ყოველმა პიონერმა, რგოლმა, რაზმმა გამოიჩინოს თაოსნობა, გამომგონებლობა, გამჭრიახობა და თავისი სტრიქონი ჩაწეროს პარტიისადმი, სამშობლოსა და საბჭოთა ხალხისადმი მიმართულ პატაკში. მაშინ იგი უფრო წონიანი და დამაჯერებელი იქნება და ნათლად დაგვანახებს, თუ რა საიმედო ცვლა ეზრდება უფროს თაობას ჩვენს ქვეყანაში.

დიადი გამარჯვების ორმოცი წლის საიუბილეო წელიწადი თითქოს ესტაფეტას გადასცემს შესანიშნავ თარიღს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს. მარშრუტები მარშისა — „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები!“ — ეს არის პარტიისა და ხალხის, უკვდავი ლენინური საქმის საუკეთესო ტრადიციებისადმი ერთგულების მარშრუტები.

დაე, თითოეული, ვინც მკერდით ატარებს წითელ ყელსახვევს — რევოლუციის დროშის ნაწილს — კომუნისტური მშენებლობის აქტიური და შეგნებული მონაწილე გამხდარიყოს.

წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო ყმაწვილებო!

ნორჩო ლენინელებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა



წუთიც და გაისმება განკარგულება „სწორდით! სმენა"!

# სასახელო საქმეთა სტარტი

ბევრი სასარგებლო, საინტერესო საქმე ჩაიწერა გასულ წელს თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მ. ი. კალინინის სახელობის რაზმეულის პიონერთა ანგარიშზე. აქაურმა ნორჩმა ლენინელებმა წარმატებით გაიარეს საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტები, შეაგროვეს 11 ტონა მაკულატურა, სტუმრად მოიწვიეს თავიანთი აფხაზი თანატოლები სოხუმის მე-10 საშუალო სკოლიდან, უფროსმა პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სკოლის უფროსკლასელთა პოლიტიკური კლუბის საქმიანობაში. ზრუნვა და ყურადღება არ დააკლეს მიკრორაიონში მცხოვრებ მარტოხელა ადამიანებს თემურელებმა... ას რომ, მორიგ საკავშირო პიონერულ ხაზზე რაზმეულის პიონერები პირნათელნი წარსდგნენ.

გაიწკრიალა თუ არა გაკვეთილების დამთავრების მაუწყებელმა ზარმა, სკოლის ყველა პიონერი ხაზზე მოსაწყობად დაიძრა. მცირე ჩოჩქოლის შემდეგ ჩვიდმეტივე რაზმი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის, ხათუნა გველესიანის ბრძანების მოლოდინში გაირინდა. მერე ყველაფერი თავისი რიგით წარიმართა — ჩაბარდა რაზმეულის პატაკი სკკპ XXVII ყრილობისა და დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო პიონერული მარშის ახალი ეტაპის სტარტისათვის მზადყოფნის შესახებ, მედროშეებმა რაზმეულის დროშა შემოიტანეს, რაზმებმა რაზმეულის საბჭოს თავიანთი პიონერული სიტყვა გადასცეს, უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნინო ბერაძემ წაიკითხა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს მიმართვა. შემდეგ ნორჩებს ხაზის საპატიო სტუმარმა, კომკავშირული მოძრაობის ვეტერანმა პელაგია რატიანმა მიმართა გულთბილი სიტყვებით. აქვე, მთელი რაზმეულის თანდასწრებით წაიკითხეს გაზეთ „პიონერსკაია პრავდიდან" რაზმეულის თემურელთა სახელზე მოსული მადლობის წერილი. ეს მადლობა უშუალოდ ეკა წერეთელმა, ამირან სურგულაძემ, გიორგი სარუხანაშვილმა, ზაზა და მაია გამრეკელებმა დაიმსახურეს თავიანთი საქმიანობით. რაზმეულის საპატიო სიგელები გადაეცათ ნიკოლოზ ჩიტაიშვილსა და ზურაბ შავლიაშვილს, რომლებმაც პიონერულ ბანაკებში ყოფნისას გამოიჩინეს თავი. ხაზის განსაკუთრებით საზეიმო მომენტში გამოცხადდა იმის შესახებ, რომ ამ დღეს სტარტს იღებს საკავშირო პიონერული მარშის ახალი ეტაპი, რომლის დევიზია: „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები!", რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის შესახვედრად გაუძლიერება ქვეყნის პიონერიას, კიდევ უფრო მეტად შეაყვარებს ნორჩ ლენინელებს სამშობლოს, ასწავლის მის დაცვასა და გაფრთხილებას, დაეხმარება სწავლაში, უფროსების შრომით საქმეებში აქტიური წვლილის შეტანაში.

უეჭველია, რომ 51-ე საშუალო სკოლის პიონერული რაზმეული მარშის ამ ეტაპზეც გამოიჩენს თავს სასარგებლო საქმეებით, ღირსეულად გაივლის მის გზებს, მუდამ მზად იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად.

მ. კარბარეთელი

ვ. ცაბარელის ფოტო

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
პიონერი
11 ნოემბერი 1985
საქ კკ ცკ-ის გამომცემლობა



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა



# „ლენინმა გამოგვიყვანა"

ლ. ქარიკოვი — მოთხრობა — მხატვარი ზ. დეისაძე

რევოლუციის შემდეგ პეტროგრადში ახალი ცხოვრება დაიწყო. ბურჟუები გავრეკეთ და თავისუფლება მოვიპოვეთ.

არც კი გვჯეროდა, რომ სულ ახლახან ქალაქში მდიდრული ეტლებით დაბრძანდებოდა დიდკაცობა, ქუჩებში ხმლიანი, ულვაშა გოროდოვოები დაიბღინძებოდნენ. ქარხნის მეპატრონე, გვარად იუზი, ინგლისელი იყო. მუშები ჯოჯოხეთურად ცხელ საამქროებში, კოქსის ღუმელებთან იდგნენ. ვასკაც კი იქ მუშაობდა და კინაღამ მოკვდა. იმ დროს ის მხოლოდ თერთმეტი წლისა იყო, ჩემზე ცოტათი უფროსი.

ახლა კი კატორღა მორჩა: ქალაქში ერთი ბურჟუაც აღარ ჭაჭანებდა, ვერც პოლიციელს მოჰკრავდი თვალს, ვერსად გაიგონებდი საძულველ სიტყვებს: „ბატონო", „თქვენო კეთილშობილებავ"...

ქალაქში შეიარაღებული მუშები დადიოდნენ და ერთმანეთს ახლებურად მიმართავდნენ: „ამხანაგო".

- ამხანაგო! რა ლამაზი სიტყვაა! რამდენი სითბოა ამ სიტყვაში!

დღისით მე ქალაქში დავეხეტებოდი, ვცდილობდი გამვლელებთან ლაპარაკი გამება, რომ უფრო ხშირად გამეგონა სიტყვა „ამხანაგო". მხარზე შაშხანაგადაკიდებული მუშა მოტრიალდებოდა ჩემკენ და მკითხავდა: „რა გინდა, ბიჭუნავ?" ვუპასუხებდი რამეს, მაგალითად: „სახელო თიხით გაქვთ დასვრილი", ან: „გაუფრთხილდი შაშხანას, არ დაკარგო". მუშა გაიღიმებდა და მეტყოდა: „გმადლობ", მე კი განვაგრძობდი გზას, რომ კიდევ გამოვლაპარაკებოდი ვინმეს.

ყოველ დღეს რაიმე ახალი ამბავი მოჰქონდა: ყოფილ კეთილშობილთა საკრებულოში მუშათა კლუბი გახსნესო, ყოფილ სასამართლო პალატაში მეძეხვე ციბულს ასამართლებენ „რევოლუციის სახელითო"... მთავარ ქუჩაზე მუშები სახლებს აგლეჯდნენ ძველ მომინანქრებულ ფირფიტებს: „ნიკოლოზის პროსპექტი" და ახალ, ხის ფირნიშებს აჭედებდნენ: „მუშა ეგორ უსტინოვის სახელობის ქუჩა". ფირნიშები ცუდად იყო გარანდული და სახურავის საღებავის სუნი ასდიოდა. სამაგიეროდ, ქუჩას მამაჩემის სახელი ერქვა. მამაჩემი რევოლუციისათვის დაიღუპა — თეთრმა კაზაკებმა ცოცხლად დაწვეს კოქსის ღუმელში. ბიჭები მეუბნებოდნენ, მამაშენს ძეგლს დაუდგამენო.

ქარხანაშიც უნდა მიმერბინა. მუშებმა იქ მმართველად აბდულას მამა—ძია ჰუსეინი აირჩიეს. მინდოდა ჭუჭრუტანიდან მაინც დამენახა, როგორ მართავდა ქარხანას იუზის ნაცვლად ძია ჰუსეინი. ამბობდნენ, გენერალ შატოხინს მამული ჩამოართვეს და მიწა გლეხებს დაურიგესო. ყველაზე [illegible] კი ის იყო, რომ რევოლუციის შემდეგ ქალები მამაკაცებს გაუთანაბრდნენ.

როგორ შეიძლებოდა ასეთ დროს თავი შეგვეკავებინა და არ გვემუშავა. უფროსებთან ერთად ჩვენც მოვკიდეთ საქმეს ხელი — მიმოყრილ სამუშაო იარაღებს ვკრებდით, გზების გადათოვლაზე ვმუშაობდით. მე ძველი დაბამბული ჯუბაც კი გავიხადე, რომ უფრო თავისუფლად მემუშავა. არც ერთი თამაშობა არ მიტაცებდა ისე, როგორც ეს სამუშაო. განსაკუთრებით ის მახარებდა, რომ უფასოდ ვმუშაობდი რევოლუციის სასარგებლოდ. ათასი მანეთიც რომ შემოეძლიათ, არ ავიღებდი. ამას რა სჯობს, ვფიქრობდი: უფასოდ ვმუშაობ რევოლუციის სასარგებლოდ! თვითონ ლენინი ჩამომართმევდა ხელს.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — შეგვაქებდნენ ხოლმე დიდები. — გაისარჯეთ, ეს ყველაფერი თქვენთვის კეთდება: თქვენ მოგიწევთ კომუნიზმში ცხოვრება!

ორიოდე დღის შემდეგ გამოგვიცხადეს: სკოლაში უნდა მოხვიდეთო. ეს იყო ჩვენთვის ყველაზე სასიხარულო ამბავი.

სკოლა! რამდენს ვოცნებობდით მასზე, რამდენჯერ ჩაგვივლია გიმნაზიის გვერდით, შურით გვიყურებია მისი ფანჯრებისათვის, რომელთა მიღმაც ბურჟუების შვილიკოები სწავლობდნენ! ფანჯრებს მიციებულებს რამდენჯერ გამოგვდევნებია ცოცხით დიდულვაშა დარაჯი! თუ დარაჯი სადმე იყო წასული, მთელი გაკვეთილის განმავლობაში ფანჯრებქვეშ ვმდგარვართ.

ყველას ერთ დიდ ოთახში მოგვიყარეს თავი. ოთახში დამტვრეული მერხები იდგა. ვისაც სად მოგვიხდა, იქ დავსხედით. მე და ვასკამ შორეულ კუთხეში მდგარი მაღალი მერხი შევარჩიეთ.

ჩვენს ცხოვრებაში უჩვეულო მოვლენით აღელვებულები ვხმაურობდით, ხმამაღლა ვლაპარაკობდით და სულაც არ გვიფიქრია იმაზე, თუ ვინ იქნებოდა ჩვენი მასწავლებელი. ამიტომ გავოცდით, როცა კლასში მექანიკოსი სიროტკა შემოვიდა. თეძოსთან ნაგანი ეკიდა (სიროტკა კონტრრევოლუციასთან მებრძოლ განყოფილებაში მუშაობდა).

— ამხანაგო ბავშვებო! — მოგვმართა სიროტკამ, როცა ხმაური დაცხრა და სიჩუმე ჩამოვარდა. — პირველ მუშათა სკოლას რევოლუციის სახელით გახსნილად ვაცხადებ. თქვენ, მწარე გაჭირვების შვილებმა, მიიღეთ სწავლის უფლება, რათა გახდეთ საქმის მცოდნენი და შეცვალოთ მამები, რომლებმაც, შესაძლოა, თავი დადონ მუშათა საქმისათვის. მაშინ თქვენ აიტაცებთ ჩვენს დროშას და გასწევთ წინ ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ.

ჩამტვრეულ ფანჯრებში ქარი უსტვენდა, დამსხვრეული მინები ზრიალებდა, ჩვენ კი ვისხედით ჩუმად და ყურადღებით ვუსმენდით სიროტკას.

— ბურჟუები ამბობენ, რომ ჩვენ, მუშებს, არ შეგვიძლია სახელმწიფოს მართვა. უჩვენეთ ამ ვამპირებს, რისი შემძლენი ხართ, გაამართლეთ მუშათა კლასის დიადი სახელი! თქვენ გეკუთვნით ყველაფერი: სკოლები, ქარხნები, თქვენს ხელშია თქვენი ბედიც. ისწავლეთ ბევრი და საუკეთესოდ. ჩვენ უნდა დავამარცხოთ ჩვენი მოწინააღმდეგე კლასები და განვაგრძოთ წინსვლა. ასეთია ცხოვრების ბრძანება, ამხანაგო ბავშვებო. დედამიწაზე მსოფლიო რევოლუციის ეპოქა დაიწყო.

სიროტკამ მცირე ხანს იყუჩა, შემდეგ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოგიძებნეთ მასწავლებლები. ზოგი მასწავლებელი წითელ გვარდიაშია, ზოგი — ყოფილმა მეფის ხელისუფლებამ დახვრიტა, არიან ისეთებიც, კადეტებთან რომ გაიქცნენ. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მიბრძანა, დროებით მე გასწავლოთ, სანამ ნამდვილ მასწავლებლებს ვიპოვით.

ჩვენი მასწავლებლის ნათქვამის ნახევარიც ვერ გავიგე, მაგრამ მომხიბლა მისი სიტყვების ფარულმა სილამაზემ: „ცხოვრების ბრძანება“, „მსოფლიო რევოლუციის ეპოქა“...

სიროტკამ სიტყვა დაამთავრა თუ არა, ამხანაგი არსენტიევი — ძია მიტია შემოვიდა კლასში. მან ყურადღებით შეგვათვალიერა, სიროტკას რაღაც უთხრა და ორივემ მერხებს შორის გაიარა. აგვხედ-დაგვხედეს, ტანისამოსი ხელით მოგვისინჯეს.

ძია მიტია განსაკუთრებით ალიოშა პუპკასთან გაჩერდა კარგა ხანს, ჩაცუცქდა კიდეც, ხელი შეახო ბაწრით ამოკრულ მის დახეულ კალოშებს.

ჩვენს დათვალიერებას რომ მორჩა, ძია მიტია დერეფანში გავიდა. მალე ისევ შემოვიდა კლასში, ოღონდ მარტო კი არა, ნაირ-ნაირი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით დატვირთული, ორი წითელგვარდიელი ახლდა თან.

ყველაფერი ნათელი იყო. ავღელდით.

სიროტკა რიგრიგობით გვიძახებდა დაფასთან, სადაც ძია მიტია გადაარჩევდა ხოლმე ტანსაცმელ-ფეხსაცმლის გროვას და ვის ახალ პიჯაკს აძლევდა, ვის — თბილ ქუდს, ვის კიდევ — მძიმე ჯარისკაცურ ყელიან წაღებს ტოლაღებითურთ.

არავინ დარჩენილა ნაწყენი — ყველას რაღაც ერგო. ძია მიტია რომ წავიდა, სიროტკამ თქვა, საჩუქრები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გამოგიგზავნათო.

— მე ვიცი, — მიჩურჩულა ვასკამ, — ყველაფერი ეს ლენინმა გამოგვიგზავნა.

გულაჩუყებულები დიდხანს ვერ დავშოშმინდით.

შემდეგ გაკვეთილი დაიწყო. რვეულები არ გვქონდა. საიდანღაც ძველი გაზეთის — „რუსკოე სლოვოს“ მთელი დასტა მოიტანეს და დაგვირიგეს. ფანქრის მაგივრად ნახშირის თითო ნატეხი მოგვცეს, გაზეთზე თუ გაუსვამდი, მკაფიო ხაზი აჩნდებოდა. ატყდა გაზეთების შრიალი, ჩურჩული. მასწავლებელმა გამოიკითხა, ვინ ვიცოდით წერა-კითხვა და ვინ არა.

ამის შემდეგ სიროტკამ დაფაზე ცარცით დაწერა ასო „ა“. წერა-კითხვის უცოდინარებს უბრძანა, ეს ასო ათჯერ დაეწერათ გაზეთზე. მცოდნეებს -- მე, ვიტკას და ორ სხვაუბნელ ბიჭს კი რომელიღაც ქაღალდიდან ხმამაღლა გვიკარნახებდა.

მერხზე გაშლილ გაზეთზე გულმოდგინედ ვწერდი:

„ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, ყველა მშრომელო! მუშათა და გლეხთა რევოლუციამ სამუდამოდ გაიმარჯვა პეტროგრადში...“

ხელები მიკანკალებდა, მაგრამ მაინც; მთელი ჩემი ძალ-ღონის დაძაბვით, გულდასმით გამომყავდა თითოეული ასო.

თარგმნა ს. ბეჩოელმა



ეროვნული ბიბლიოთეკა



მინდია არაბული

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

მოთხრობა

# ბიბას აღმართ-დაღმართები

შენ ალბათ იცი ილიას წერილი — „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ". ამ წერილში მართლაც რომ ხელსატაცი აზრებია. პოეზიის არსი, შრომის როლი, სწავლის, ცოდნისა და განათლების მნიშვნელობა ნიჭის სრულყოფის საქმეში ილიასებური სიღრმითა და სიბრძნით არის განმარტებული. კიდევ წაიკითხე ეს წერილი, გამოიტანე სათანადო დასკვნები; ბევრი იშრომე, ძალიან ბევრი იკითხე და, მჯერა, რომ სულ წინ და წინ ივლი! ჯერჯერობით კი ბევრი იკითხე და ცოტა წერე! პოეტურ თემატიკასაც აზიზად მოეპყარი, ცხოვრების ყველა წვრილმანის გამოხმაურება არ არის საჭირო. ამის შესახებ კარგად თქვა ალექსანდრე აბაშელმა თავის დროზე:

დღეს პოეზია არ ისტამბება,
ხარი არ ყვირის ვაჟას მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
ამოწერილმა გაზეთებიდან.

ეს იცე არ გაიგო, თითქოს სინამდვილეს უნდა მოვწყდეთ და ირეალობაში გავიჭრათ. არა! ყველაფრის საფუძველი მატერიალური სამყაროა.
ზომიერება უწინარეს ყოვლისა!
დააკვირდი ცხოვრებას!"
ეს წერილი ყოველთვის თან დამაქვს და დროდადრო ვკითხულობ, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს და სახელმძღვანელოს.

თხილამურებით სრიალი მიყვარს ძალიან, მაგრამ თხილამურები არა მაქვს. მეორე გაკვეთილის დაწყებიდან მესამე გაკვეთილის გამოსვლამდე (მეორე ცვლაში ვარ) ჩემი ბიძაშვილი ხთისიათ სუმბატა მაძლევს თხილამურებს და მთიდან დაშვებაში ერთმანეთს ვეჯიბრებით მე, გიგია, აპარეკა, ბაბურაული, თინიბექა, გოდერძა და კიდევ სხვები. მე ყველა ბექიდანა და მაღლობიდან ვეშვები. ციცაბო მთის ფერდობზე ტყვიასავით მივქრი და უკან ქარბუქის კორიანტელი მომყვება.

ჩემი მთიდან დაშვება ყველაზე მეტად გაიოზა შოფერს უხარია, რომელიც ინტერნატის გაძვალტყავებულ „პალტორკას" ისევ როგორღაც აცოცხლებს და ალმაჩაღმა დააგორებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ზამთარშიაც კი ამოდის. მისი ჩვენთან მოსვლა (ხშირად რაიონშია) მთელი სკოლა-ინტერნატის სიხარული და ზეიმია. ეს ის მანქანაა, რომელიც პირველად ნახა ბევრმა ჩვენგანმა და, საერთოდ, ბევრ ხევსურს ამ „პალტორკითა" აქვს წარმოდგენა მანქანებზე. მისი შორი რახრახი რომ შემოსწვდება სკოლა-ინტერნატს, მასწავლებლები გაკვეთილზე ველარ გვაჩერებენ, გარეთ გამოვრბივართ მის შესახვედრად და ჟივილ-ხივილით მოვაცილებთ ინტერნატამდე.

— გაიწით, არავინ გამეჭყლეტინოთ! — ყვირის გაიოზა შოფერი, მაგრამ ვინ უგდებს ყურს! ზედ ვახტებით და ვეკიდებით ინტერნატის „პალტორკას". ის გაჩერებულიც ბალღებით სავსეა. თუ შეშაზე წავიდა გაიოზა

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 10.

შოფერი და რომელიმე ჩვენგანი მანქანას გაყვა, არა აქვს მნიშვნელობა, იმ დროს გაკვეთილები აქვს თუ არა, მეტი სიხარული და თავმოწონება რაღა გინდა; არც იმას დავეძებთ, ქარ-წვიმაა თუ თოვლ-ყინვა. ოღონდ ეგ არის, რომ უფროსკლასელები არ გვიშვებენ მანქანაზე, როცა შეშაზე მიდიან. ერთხელ მეც მაგდებდა ჟრსენა მანქანის ძარიდან, მაგრამ თაფლიან ქილას შევპირდი და აღარ ჩამომაგდო. იმ სინდისგარეცხილმა შეშაც მე მომაზიდვინა თოვლ-ყინვაში და თაფლიანი ქილაც წამართვა. გაიოზა შოფერი ზოგჯერ თვითონ დამსვამს მანქანაზე და მაშინ კი ხმას ვერავინა მცემს. თუ კაბინაშიც ჩავჯექი, ვდიდურობ და ჩემს ტოლ-სწორებს თავს ვამეტებ.

გაიოზა შოფერი რომ რაიონიდან ამოვა, მე მომაკითხავს ხოლმე. ხან კალმისტარს მომიტანს, ხან რვეულებსა და ფანქრებს მაჩუქებს. ეს სასწავლო ნივთები ჩვენში არ იშოვება და ძალიან მიხარია გაიოზა შოფერის დამწყალობნება. მისი საჩუქარი კი იმას ნიშნავს, რომ თხილამურებით იქიდან დავეშვა, საიდანაც გაიოზა შოფერი მეტყვის. მეც ვეშვები. ჩვენს სათხილამურო შეჯიბრებას ხშირად ბევრი მაყურებელი ჰყავს და ერთგვარ საზამთრო ზეიმად იქცევა ხოლმე.

ფურნის ბოლომდე წაუქცევლად მხოლოდ მე და გოდერძა გავდივართ. დანარჩენები კი ზოგი სად წაეცხობა თავით თოვლში და ზოგი სად.

თხილამურებზე დგომაც ცხენის მხედრობასა ჰგავს,— როგორც კი შეშინდები, მაშინვე გადმოვარდები ცხენიდან და თხილამურებზე მდგარიც მაშინვე წაიქცევი.

ინტერნატის მასწავლებლებში გამორჩეულია ნიჩკა მასწავლებელი. იგი დიდი ნამსახური ქალია, თაობებს დაულოცა გზა ახალი ცხოვრებისაკენ. თავის დროზე მამაჩემს ასწავლიდა წერა-კითხვას მოწმაოს სკოლაში, მერე კი ჩემი მასწავლებელიც იყო მეორე კლასში.

ეს დალოცვილი ქალი ყველაზე პირველი მივიდა მთიელებთან ცივილიზებული სამყაროდან. მივიდა მთელი სულითა და გულით, თავისი ერის დიდი სიყვარულით. ოღონდ დასაწყისში საკმაოდ მძიმე პირობებსა და უცნაურ გარემოში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ ვერაფერმა შეაკრთო ხევსურთა ბერდედა და ბოლომდე ემსახურა მათი სწავლა-განათლების საქმეს.

მოწმაოს სკოლაში მუშაობის მეორე წელს, შემოდგომის ერთ მზიან დღეს, ექომ თოფების გრიალი შემოაგდო ჭერხოში, სადაც ნიჩკა მასწავლებლის სკოლა იყო. მოსწავლეები ჟიჟურ წამოხტნენ მერხებიდან და გარეთ გაცვივდნენ. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მასწავლებელმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო და უკან გაედევნა მოსწავლეებს. სოფელს რომ გასცდნენ, თოფების ზათქმა კიდევ შესძრა მიდამო, ხევებმაც კიდევ გაიმეორეს დიაც-ყმაწვილის ტირილის ხმა. ახალგაზრდა ხევსურებმა ბიჯით სიარული სირბილით შეცვალეს. სოფლის თავში მზირივით წამომჯდარი გორა რომ გადაიარეს, თოფებმა ისევ იგრიალეს და ნიჩკა მასწავლებლის ერთი მოწაფე მიწას დაენარცხა, რაღაც ლანძღვა-გინებისმაგვარი აღმოხდა და ბექზე უსულოდ დაგორდა. სხვები კი აქეთ-იქით გაიქც-გამოიქცნენ და ტყეს შეაფარეს თავი.

მესისხლეებს მესისხლეები ამოეხოცათ სამკალზე.

ნიჩკა მასწავლებელი დახოცილებს წაადგა თავზე. ხან ერთს მივარდა, ხან მეორეს, მესამეს... იქნებ სიცოცხლის ნიშანწყალი შეემჩნია რომელიმე მათგანისათვის, მაგრამ ამაოდ, რომელსაც კი მოხვედროდა ბერდანის ტყვია, ძვალ-რბილიანად დაენაძოძებინა.

ჰორიზონტზე მთათა წვერებს ღრუბლები გადმოეკიდნენ. მზის თვალიც აიკრიფა, ირგვლივ მძიმე სიჩუმე დადგა.

სისხლში შესვრილი იარაღასხმული ხევსურები საყუჩებიდან გამოვიდნენ. მათ გამოჩენაზე ნიჩკა მასწავლებელი შეკრთა, რამდენიმე ხანს გაქვავებული მისჩერებოდა; არც რამესა გრძნობდა, არც რამესა ფიქრობდა. მაშინღა მოვიდა გონს, როცა მესისხლეებმა მისი მოსწავლე თორღვა ახსენეს. მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს, მისდა უნებურად ხელები გაშალა და ხევსურებისკენ გაქანდა ავაზადქცეული:

— შეგირცხვეთ ვაჟკაცობა, თუ ფეხი გადმოდგათ! გრისხავდეთ აქაური სალოცავები, თუ განზრახულზე უარი არა თქვათ!

ხევსურები წუთით შეყოვნდნენ, უკან დაიხიეს და დიაცის გვერდის ავლა დააპირეს, მაგრამ ნიჩკა მასწავლებელი წინ გადაუდგა და წასვლის საშუალება არ მისცა. მოთავემ თოფი მოიმარჯვა და ახირებული დიაცის გულ-მკერდს გაუსწორა ნიშანი. ერთი მისი თანმხლებთაგანი გადმოხტა უმალ, ხელი აუკრა შეყენებულ თოფზე, — ემანდ მართლა არ გაგივარდესო, და ნიჩკა მასწავლებელს დაჰყვირა:

— დიაცო, დაითხი აქით, საკვირველ არა ჩაგვადენივ! — მერე კბილები გააკრაჭუნა და თავისთვის წაიჯუმჯუმა: — რაირა იქნ ი გველის წიწილაი, სად წამივ, თავსაც მავშჭრი!

ნიჩკა მასწავლებელმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ხევსურები საკვირველს არას ჩაიდენდნენ. სამანივით აყუდებული რამდენიმე კაცი ლაშქარს შეალევდა სიცოცხლეს, ოღონდ მის წინ, ქალის წინ კი უსუსურნი, უძლურნი იყვნენ რკინის კანონებსა და ადათებზე აღზრდილნი. იცოდა, აქაური ადათის მიხედვით ქალის მანდილის შეუვალი ძალაც და აღარ დაყოვნებულა, რადგან ეს, შესაძლო იყო, თორღვას სიცოცხლის ფასად დამჯდარიყო. მოიძრო თავშალი, მოთავის წინ დააგდო და უფრო თამამად და გაბედულად დაჰკივლა:

— სახელ-სირცხვილდაკარგულებო, უიარაღოებს რად მისდევთ! თუ ვაჟკაცები ხართ, მაგათაც მიეცით იარაღი და მერე სცადეთ ერთურთის ვაჟობა!

ნიჩკა მასწავლებელი იმ წუთში თემის სრულუფლებიანი წევრი იყო, მისი ადათ-წესების დამცველი და შემსრულებელი, ამიტომ სიტყვა არ დაცდენია, ხვეწნა-მუდარის გამომხატველი.

ხევსურებს უცხო დიაცის საქციელი ეუცნაურათ, თანაც მოეწონათ. ისინი განცვიფრდნენ დიაცის შეუპოვრობით, გაოგნდნენ, თოფები ძირს დაუშვეს და მათი იჭვიანი მზერა ქალის სასოწარკვეთილებით ავსილ თვალებში ჩაიკარგა.

— ვინ არის, ვისი დიაცია? — იკითხა მოთავემ.

— მასწავლებელია! — მიუგეს თანამყოლებმა.

— ვინ უნდა იყვას, დიაცის მანდილის გადალახვა ანდრეზ არ ას, დადეგით უკან, სირცხვილი არ დავიდვათ! — გააფრთხილეს ერთმანეთი ხევსურებმა.

ისინი საგონებელში ჩავარდნენ, — რა ექნათ, რა მოემოქმედათ? შეტრიალდნენ, ერთმანეთს რაღაც ჩაუჩიფჩიფეს, თითქოს რაღაცაზე ვერ რიგდებიანო, ვერ თანხმდებიანო; მაგრამ მოთავემ ხელი მაღლა ასწია, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ამის იქით ლაპარაკი უნდა შეწყვეტილიყო და ყველანი გაჩუმებულიყვნენ, რაღაც მკაცრად ჩაულაპარაკა დანარჩენებს და ყველანი რიგრიგობით მიუახლოვდნენ ნიჩკა მასწავლებელს, უჩუმრად ჩამოართვეს ხელი; მხოლოდ თვითონ არ დაძრულა ადგილიდან; ეტყობოდა, კიდევ რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს, სრულიად მოულოდნელად, თითქოს ამ შემთხვევას ელოდაო, მიუახლოვდა ნიჩკა მასწავლებელს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

— ერთ თავ კიდევ გვჩების. მაგრამ შენდ გვიპატიებავ! — ნელა დაიხარა, თავშალი მოწიწებით აიღო და ასევე მოწიწებით დაახურა ათრთოლებულ ნიჩკა მასწავლებელს.

ამის შემდეგ ხევსურები შეჯგუფდნენ, კიდევ რაღაცა წაუჩიფჩიფეს ერთმანეთს და ელდანაკრავებივით გაიფანტნენ სხვადასხვა მიმართულებით. ნიჩკა მასწავლებელი მარტო დარჩა; ხან ერთს მიაყოლებდა თვალს, ხან მეორეს, ხან მაღალს, ხანაც შუა ტანისას და ვერ მიმხვდარიყო, რა დაუტოვეს, — სიყვარული, სიძულვილი თუ პატივისცემა.

ხალხის ზირწუმ გამოაფხიზლა მასწავლებელი ქალი. მოსულები დახოცილებს დაეხვივნენ ტირილითა და ვაივიშით...

ნიჩკა მასწავლებელი ამ სკოლიდან მოვიდა ჩვენს სკოლა-ინტერნატში, მოვიდა თავის სკოლიანად და მოსწავლეებიანად, რომლებიც, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ, — ცოლ-შვილიანებიცა და უცოლშვილონიც, წვერულვაშაღერილნიცა და უწვერულნიც, სასკოლო ასაკისანიცა და სასკოლო ასაკს გადაცილებულნიც. ერთი სიტყვით, ყველა ნიჩკა მასწავლებლის მოსწავლე იყო, ვისაც კი სკოლაში სიარულის სურვილი ჰქონდა. სწავლა არავის აინტერესებდა, წერა-კითხვის სწავლას ენიაზებოდა ყველა.

გაკვეთილზე ხანჯლებითა და ფარ-ხმლებით ისხდნენ მოსწავლეები. თუ რამ ხმაური შემოსწვდებოდათ, გარეთ გამოიყრებოდნენ: რა ამბავია, ხომ არავინა შუღლობსო, თავს ხომ არავინ დაგვეცაო, — ამის მოლოდინიც იყო იმ ხანებში. რაკი დარწმუნდებოდნენ, რომ მშვიდობა იყო, მიშოშმინდებოდნენ, მიწყნარდებოდნენ, შემოთითოვდებოდნენ და ნიჩკა მასწავლებელიც გაკვეთილს გააგრძელებდა.

კარგა ხანს იმოღვაწა ნინო მასწავლებელმა, მრავალი გამოზარდა, მრავალს დაულოცა გზა ახალი ცხოვრებისაკენ, მაგრამ, ნათქვამია, სიბერე ლომს მორევიაო და ამ ჯანმაგარ ქალსაც დაეტყო ხნოვანება. თავისი საქმე თავისსავე აღზრდილებს გადააბარა და საკუთარ კერიას დაუბრუნდა თმაშევერცხლილი და ნაჯაფი ნიჩკა მასწავლებელი, როგორც სიყვარულით ეძახდნენ მას მადლიერი მთიელები.

ხევსურებმა სალვთო დაარქვეს მის გასაცილებლად მოწყობილ დღეობას, რომელიც იმ სოფელში გამართეს, სადაც პირველი გაკვეთილი ჩაატარა ამაგდარმა ქალმა.

ხუცესმა ანთებული სანთლებით გაჟიკჟიკებულ ლუდიან კოდებთან ტრადიციული რიტუალი შეასრულა, რის შემდეგ ჩარიგებული ტაბლების გასწვრივ ჩაჯარდნენ ყველანი. ხევსურებმა ერთი წესი დაარღვიეს იმჟამად,— ნიჩკა მასწავლებელი ჯართ თავში დასვეს, სადაც დიაცი, ალბათ, არასოდეს მჯდარა. ეს დამსახურებული პატივი ხევსურებისაგან პირველად ნიჩკა მასწავლებელს ერგო, რადგან ის თავადაც პირველი ქალი იყო, რომელიც მათთან მათი სამსახურისთვის მოვიდა.

თასები ცივციველა ლუდით შეავსეს და ხევისბერის დამწყალობების მოლოდინში გაყუჩდნენ. სწორედ ამ დროს გაიღო კარი და ჭერხოში ხევსურულ ტანსაცმელზე ქამარშემორტყმული ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი შემოვიდა და ისე ამაყად დადგა კართან, თითქოს ერეკლე მეორის კარზე ნამსახური ყოფილიყო. მას შემოჰყვა შუახანს გადაცილებული, იარაღში ჩამჯდარი, კარგი სერნაწრის კაცი და ყმაწვილს გვერდზე დაუდგა. ხალხი ფეხზე წამოდგა მოსულთა შესახვედრად და მისაღებად წესისამებრ, მაგრამ თორღვას ხმამ ყველანი ადგილზე გააქვავა წამიერად:

— ვირს ვიქამ შენის მკვდარ-ცოცხლისად, ცოდვიანო, ჩემს სახლში მოხვედი! — შიშველ ხანჯალმომარჯვებული თორღვა ძლივს შეაკავეს.

— დაიცა, თორღვა! ვისკენ იწევ, ვინ არის? — შეაჩერა დედობილმა თორღვა და შემოსულს დააკვირდა...

ბაბუტა... თორღვას მამის მკვლელი ბაბუტა იცნო ნიჩკა მასწავლებელმა.

— დაწყნარდი, ბალღო, მე შენი არა მმართებს რა. ამ ხალხმა კარგად იცის, რომ ერთი კაცის თავი ამ დიაცის ხათრით დავკარგე, შენი სიცოცხლე, აი, ამ ჭალარა ქალს ვაპატიე. შემეძლო პატიება და ვაპატიე. შენ ჩემთან და ჩემიანებთან მოსაძევი არაფერი გაქვს, დაწყნარდი! — ბაბუტა წუთით შეჩერდა, მერე კი ნინო მასწავლებლისაკენ მიმართა მზერაცა და საუბარიც:

— მე ძმა-ბიძაშვილებისაგან მოკვეთილი ვარ, უბედურ ვარსკვლავზე გავჩნდი; ვინ იცის, ვინ როდის მომკლავს, — ახლა ბალღისკენ მიმართა მზერა და განაგრძო: — თავისიანები აი, ამ ბალღსაც აღარ გაიკარებენ ახლოს, რადგან მოკვეთილის შვილია, ამიტომ შენთვის ხარით მომიბარებია. ეტყობა, ახალი დრო მო-

დის და მჯერა, რომ ამ ბალღსაც ისევე მოუვლი და უპატრონებ, როგორც ბევრი აქაურისთვის მოგივლია და გიპატრონებია. მშვიდობით, კეთილო ქალო! თქვენაც კარგად იყვენით, ვაჟებო! — თქვა ბაბუტამ და ჭერხოდან სწრაფად გავიდა.

თორღვას კიდევ წაუვიდა ხელი იარაღისაკენ, მაგრამ ისევ ნიჩკა მასწავლებელმა შეაჩერა. კართან მდგარ ბიჭსაც ხანჯალზე დაედო ხელი და თორღვასკენ იბრიშებოდა. ისიც ნიჩკა მასწავლებელმა იხმო, გვერდზე მოუსვა თორღვას და მათი ძმებად გაფიცვა მოითხოვა, რომ მერე შუღლჯავრება აღარ მოსვლოდათ. ბაბუტას მოყვანილი ხარით ხევსურებმა ნიჩკა მასწავლებელიც დაამწყალობნეს და მისი ახალი შვილობილიც. საღვთო იწყებოდა, ნინო მასწავლებელი კი ახლად შეძენილი შვილობილის მომავალზე ფიქრობდა.

●

მე უკვე ერთი საერთო რვეული გავავსე ფიქრიაზე დაწერილი ლექსებით, ოღონდ ძალიან საიდუმლოდ ვწერ და ვინახავ ჩემი ყრმობის პირმშო ლექსებს. მაგრამ ჩემმა კლასელებმა მაინც გაიგეს ჩემი მელექსეობის ამბავი და კედლის გაზეთის რედაქტორთან გამთქვეს. რედაქტორმა, გინდა თუ არ გინდა, ლექსი მოიტანეო, სამაისო ნომერში უნდა გამოვუშვაო. არა და არ მომეშვა. რა უნდა მექნა, მივუტანე ლექსი.

კედლის გაზეთის გამოსვლას მე არ ველოდებოდი ისე, როგორც ჩემი კლასელები ელოდებოდნენ. ისინი იყვნენ ჩემი ლექსის პირველი მკითხველები და მახარობლები, რომ კედლის გაზეთში ჩემი ლექსია.

იმ საღამოს სკოლა-ინტერნატში რატომღაც სინათლე არ იყო და კედლის გაზეთის წინ ერთი კოლოფი ასანთი დავწვი ჩემი ლექსის კითხვასა და ყურებაში. იმდენი სიხარული შემდეგში იშვიათად განმიცდია.

მთელმა სკოლამ გაიგო ჩემი მელექსეობის ამბავი. გაიგო, რა თქმა უნდა, ჩვენმა დირექტორმაც. და მას მერე განსაკუთრებული ყურადღება მომაქცია. თავისი ბიბლიოთეკიდან მაძლევდა წასაკითხად წიგნებს, მამოწმებდა, რას ვკეთებდი, რასა ვკითხულობდი.

თებერვლის დასაწყისში დამიძახა და მითხრა, საქართველოზე ლექსი უნდა დაწერო და ოცდახუთ თებერვალს საზეიმო სხდომაზე წაიკითხოო. არ ვიცი, რა უნდა დავწერო, ან რა გამოვა ასე დაწერილი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისი ბრძანების შესრულება აუცილებელია, თორემ შავ დღეს დამაყრის. ამიტომ არ მესიამოვნა ეს დავალება; თუმცა მეტი გზა არ არის, უნდა დავწერო, რაც გამოვა, გამოვა!

ერთ შაბათ დღეს, სახლში რომ წავედი გაკვეთილების შემდეგ, გზადაგზა ლექსი გამოვიგონე. მაგრამ სკოლაში რომ დავბრუნდი, დირექტორისთვის ჩვენება ვერა და ვერ გავბედე. მან თვითონ დამიძახა სამასწავლებლოში და დავალება მომკითხა. მე ლექსი მივეცი. მან ჯერ თავისთვის ჩაიკითხა, ხელი გაჰკრა, რაღაცა ჩაასწორა ფანქრით, მერე კი ხმამაღლა, ყველას გასა-



გონად წაიკითხა.

— ყოჩაღ, კარგია! ზეპირად ისწავლე და საზეიმო სხდომაზე წაიკითხე! — მითხრა დირექტორმა, მომცა ლექსი და გამომიშვა სამასწავლებლოდან.

ის ლექსი წავიკითხე პირველად ხალხის წინაშე, იგივე ლექსი დაიბეჭდა პირველად გაზეთში.

რაც დრო გადის, მით უფრო მეტს ვფიქრობ ფიქრიაზე. ის გოდერძას დეიდაშვილია და ძმაკაცებში გოდერძა, ალბათ, ამიტომ მიყვარს გამორჩეულად. გოდერძა გულადია, არავის არაფერს შეარჩენს, თუ ვინმემ სიტყვა გაუმრუდა, მაშინვე ალიყურს გამოუწერს. კარგი საძმაკაცო ბიჭია. ოღონდ ეგ არის, რომ სწავლაშია ჩამორჩენილი ღმერთგამწყრალი. ყოველ მეოთხედში ოთხი-ხუთი თუ არა, სამი-ოთხი ორიანი მაინცა ჰკიდია ზურგზე, მაგრამ არ ნაღვლობს და უდარდელად დადის მასწავლებლების ათვალწუნებული. ერთადერთი ოთხიანი საქართველოს ისტორიაში უწერია, ისიც იმიტომ დაუწერა ხვთისო მასწავლებელმა, კარგი მონადირე ხარო. საქართველოს ისტორიის მასწავლებელი ნიშნებს მარტო გაკვეთილების ცოდნაში არ გვიწერს, კარგ ყმას კაი ვაჟობაშიც უწერს ნიშანს; მის წინ კარგი რამ საქციელი ჩაიდინე და ნიშანს როგორ დაგამადლის, ამის გამოსახატავად სხვა არც არაფერი აბადია. არ ვიცი, პედაგოგიურად ეს რამდენად სწორია, მაგრამ ხვთისო მასწავლებელი სხვათაგან გამორჩეულად გვიყვარს. რომ გვიყვარს, იმიტომ უფრო ვცდილობთ მისი საგნის სწავლას. გოდერძაცა ცდილობს, განა არა ცდილობს, მაგრამ არა გამოუდის რა. აი, ნადირობაში კი ტოლი არ დაუდო ხვთისო მასწავლებელს. წინა კვირას ერთად ინადირეს, დათვი დათოფეს და თითო მაჩვიც მოაყოლეს ხელს.

— როცა დაგჭირდება, საგანს მაშინაც წაიკითხავ და ისწავლი, კაცი კი ვერ გახდებიო, — გვეტყვის ხვთისო მასწავლებელი. ის განათლებით ფილოსოფოსია და ბევრი რამ აქვს წაკითხული და გაგებული. მაღაზიის გვერდზე მიწურ ქოხში ცხოვრობს და წიგნების მეტი არც რა გააჩნია. წიგნები კი, გიყვარდეს, ბლომად აქვს. რა წიგნი უნდა მოიკითხო ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ფილოსოფიაზე, რომ მის ქოხში არ იყოს.



რამდენი ხანია გოდერძას ჩავსჩიჩინებთ, რომ ხვთისო მასწავლებელთან მივიდეს ნიშნის გამოსასწორებლად, ოთხიანი რა ნიშანია მისთვის, ხუთიანი ეკუთვნის. ისე კი, სად ხუთიანი და სად გოდერძა, ან რად უნდა ხუთიანი სამებითა და ორებით გატენილს, მაგრამ ჩვენ გვინდა სეირის ნახვა და იმიტომა ვართ შეჩენილები. ვნახოთ, რა სურათი გამოვა.

გაბრიყვდა გოდერძა და წავიდა ხვთისო მასწავლებელთან სახლში ისტორიის გადასაბარებლად და ხუთიანის მისაღებად. ჩვენ მაღაზიის გვერდზე გორის ფხას ავეკარით და გავისუსეთ სეირის მოლოდინში. ბევრი ხანი არ იყო გასული, რომ გოდერძა ბზიკნაკბენივით გამოვარდა ხვთისო ალუდაურის მიწურიდან და თავქუდმოგლეჯილი „პოვოროტებისაკენ“ დაეშვა, მას კვალდაკვალ მოჰყვა ხვთისო მასწავლებლის გაჯავრებული დედა:

— ასპინძის ომი რომელ წელს მოხდა, არ იცის და ხუთიანს თხოულობს ეს სწორთუარე! არ უყურებთა ამის თავხედობას! — ცოფებს ყრიდა საუკუნეს მიღწეული ხევსური ქალი. ჩვენაც ყიჟინით დავედევნეთ ხუთიანის მაძევარ თანაკლასელს, რომელიც სწრაფად მიეფარა „პოვოროტებს“.

— გამოასწორე ნიშანი? — ჰკითხა ცერამ ყველაზე პირველად, როცა ფერწასულ გოდერძას დავეწიეთ და სიცილი ველარ შეიკავა.

— ეს რა მიყავით, თქვე მაცილებო! — ძლივს ამოთქვა ოფლნადენმა.

— რა გადაგხდა, გამოტყდი! — ჩააცივდა ტოპკა. გოდერძა დააცქერდა, ვხიო თუ არა ვხიოო, მაგრამ თავი შეიკავა.

—მიიღე თუ ვერ მიიღე ხუთიანი! — აროხროხდა ჩუა.

სულის მოთქმა არ ვაცალეთ ცოდვილ გოდერძას, ჩვენი ცნობისმოყვარეობით შევუღონეთ გული. როგორც იქნა, ამოღერღა:

— დედას დაავალა ჩემი გამოცდა.

— მერე?

— მერე რა! ის დედაბერიც დამადგა მხერხავი რუსივით და მკითხა და მკითხა.

— რა გკითხა ეგეთი წერა-კითხვის უცოდინარმა ქალმა?

— წერა-კითხვის უცოდინარი დაუძახე, ზეპირად იცის საქართველოს ისტორია.

— იმ დედაბერმა ჩაგჭრა, ბიჭო?.. ვაი, სირცხვილო, შე მართლა სწორთუარე გოდერძა! საქართველოს ისტორიაში როგორ დაგემართა ეს! თავისი ხალხის ისტორია ხევსურეთში ყველამ იცის მეტნაკლებად, წერაკითხვის მცოდნემაცა და არამცოდნემაც, შენ კი არ იცი და თანაც გინდა, რომ ტყუილა ხუთიანი გქონდეს ხვთისო მასწავლებლის საგანში!

მიხვდა ჩვენი ძმაკაცი, რომ შევაცდინეთ, ჯავრით

ენას იკვნეტს, მაგრამ უკვე გვიანია. ამიტომ ყურებჩამოყრილმა ძალიან დიდხანს იარა. მაგრამ მე მაინც მიყვარს, იმიტომ, რომ ფიქრიას დეიდაშვილია. არც ხვთისო მასწავლებლის თვალში დაჰკლებია ბევრი რამ და, მიუხედავად დედის მოთხოვნისა, რომ მისთვის ნიშანი დაეკლო, მაინც დაუტოვა ნადირობისთვის დაწერილი ოთხიანი და ნადირობადაც ისევ ერთად დადიან.

ზაფხულში ისევ სამწყესურში დავალ. საკუთარ ძროხებს ვაძოვებ არაგვის ჭალებზე, ბოროლას მთის ფერდობებზე, ზენამაწმაოსა და წისქვილჭალაზე, თან დამაქვს ოლიმპიადაზე ნაჩუქარი წიგნები და ვკითხულობ. უკვე წავიკითხე „რობინზონ კრუზო“, „ომი და მშვიდობა“.

ერთ საღამოს ჩემი მეზობელი ქალიკათ გიგია მოვიდა ბარისახოდან და მითხრა, მასწავლებელი გიბარებსო. მე გამიკვირდა, რაზე დავჭირდი არდადეგებზე, შუა ზაფხულში ჩემს მასწავლებელს, რისთვის მიბარებს-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს მაინც წავედი.

ჩვენი სკოლის შენობა სავსე იყო ქალაქელი გოგო-ბიჭებით. ისინი თბილისის პიონერთა სასახლის ლიტერატურის წრის წევრები იყვნენ. ჩვენი სკოლის ლიტერატორები მოუკითხავთ, ჩემს მასწავლებელს მე ჟუხსენებივარ და მასვე დაუბარებია ქალიკათ გიგიასთვის, ჩამოვიდესო.

იმ საღამოს სახლში აღარ წავსულვარ, ქალაქელებთან დავრჩი. მათ შორის ერთი ზორბა ტანის კაცია, რომელსაც ძველებური ხევსურული ქუდი ახურავს. ისედაც თვალში მოსასვლელია, მაგრამ ფაცია მასწავლებელმა რომ მითხრა, ეს კაცი ლექსს საქართველოში ყველაზე კარგად კითხულობსო, მას მერე იმ ქუდიანისთვის თვალი აღარ მომიშორებია. მან ლიქოკის ჯვარში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ წაიკითხა. წაიკითხა და რა წაიკითხა! საკმაოდ ახოვანი კაცი ხატის წინ მუხლზე დაეცა და ლექსი დაიწყო. მომეჩვენა, რომ გარშემო ყველაფერი სმენად იქცა, იმ წუთში ყველაფერი გაჩუმდა ირგვლივ, ლექსის გარდა არაფერი ისმოდა სამლოცველოს წინ. როგორც ზეციერს, ისე შევყურებდით და ვუსმენდით იმ წუთში ლიქოკის ჯვარის ქადაგს — ხევსურულქუდიან კაცს. იმის მერე რამდენჯერ ვცადე, რომ მისთვის მიმებაძა ლექსის კითხვაში, მაგრამ არა გამომივიდა რა. მისი წარმოთქმული სტრიქონები ახლაც ლოცვასავით ჩამესმის: „გულმკერდიმც აგიყოვდება, დედაო, ია-ვარდითა...“

ნოემბრის დასაწყისში მოსაწვევი ბარათი მოვიდა ჩემს სახელზე თბილისის პიონერთა სასახლიდან, — მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე მიწვევდნენ. მაგრამ რითი წავიდე, როგორ წავიდე, ფული არა მაქვს. ფული არც ჩემს მშობლებსა აქვთ, არა სჭირდებათ და იმიტომ. ყიდვა-გაყიდვა ნატურით არის ჩვენთან, ყველით, ერბოთი, ან სხვა რამ ნივთით ყიდულობენ ამა თუ იმ საჭირო საგანს, ამიტომ ფული ჩვენში იშვიათად ვინმესა აქვს, ბევრი კი ვერცა სცნობს, არ



უნახავს და იმიტომ.

ჩვენებურ ადადასთან მივედი, რომელიც საბჭოს თავმჯდომარე იყო იმ დროს. შევჩივლე ჩემი გაჭირვება და რჩევა ვთხოვე. ჩემი სასაუბრო რომ ჩამოვათავე და ადადამ გაიგო, რაც მიჭირდა, ქალაქში ჩასასვლელ-ამოსასვლელად რამდენიც მეყოფოდა, იმდენი ფული მომცა და კარგი მგზავრობა მისურვა. სიხარულით ცას ვეწიე, გავემზადე და ყოყლიმოყლის მანქანას დაველოდე.

ყოყლიმოყლის ფოსტის მანქანის შოფერს ვეძახით. ისე ლაპარაკობს ცხვირში, რომ ეს სახელი ზედგამოჭრილია. კვირაში ერთხელ ამოდის ჩვენთან და ამოაქვს ერთი კვირის ჟურნალები, გაზეთები, წერილები. ხევსურებმა იციან მისი მორახრახების დღე და ჩამოსული არიან სხვადასხვა სოფლებიდან, ყოყლიმოყლის ელოდებიან მებარქალაქენი, ზოგი რაზე მიდის და ზოგი რაზე. საკვირველი თვისება აქვს ყოყლიმოყლის მანქანას: ცოტა ხალხი უცდის, — ცოტა ხალხი ეტევა მასზე, ბევრი ხალხია და, არც მაშინ რჩება ვინმე წაუსვლელი. მანქანა გაივსება და ძარაში ფეხზე მდგომი მგზავრები ერთმანეთს ეხუტებიან და ასე დაძეძგილ-გაჭედილი ყოყლიმოყლის მანქანა მთების ვიწროებსა და მიხვეულ-მოხვეულებში ცოცვა-ცოცვითა და რყევა-რყევით მიჩაქჩაქებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ყოყლიმოყ-

ლის მარცხი ოდესმე მოსვლოდეს, ძალიან ფრთხილი შოფერია და იმიტომ.

ყოყლიმოყლიმ მიაჩვია ხევსურები ბარში სიარულს, ბაზარსა და ვაჭრობას.

მეც სწორედ მან ჩამიყვანა დუშეთში, იქიდან კი ადვილად ჩავედი თბილისში და პიონერთა სასახლეშიც დათქმულ დროს გამოვცხადდი. შემომეგებნენ ჩემი ნაცნობი გოგო-ბიჭები. დამხვდა ფაცია მასწავლებელიც, მომცა ზაფხულში წაღებული ჩემი ლექსების რვეული და მიჩვენა, რომელი ლექსები უნდა წამეკითხა საჯაროდ. კონფერენციაზე წაიკითხეს ლექსები, მოთხრობები, პიესები. სხვადასხვა ხასიათის საინტერესო თემებითაც გამოვიდნენ. პირველად მაშინ ვნახე ცოცხალი მწერლები და პოეტები, სასახლეში მოწვეულები სიტყვებით გამოვიდნენ, შეგვაქეს, მოგვიწონეს, კარგი და კეთილი სიტყვებით წაგვაქეზეს.

დიდი იყო იმ გზობას მიღებული შთაბეჭდილებები.

საბურთალომდე გამაცილეს ჩემმა ქალაქელმა დობილ-ძმობილებმა, საიდანაც ჩვენკენ გადიან მანქანები. დავემშვიდობე და ავყევი აღმისაკე საარაგვოს, ჩემი მთებისკენ ვიბრუნე პირი.

ჩემი წარმატების ამბავი ჩემს სკოლაში უკვე მიეტანა რადიოს. გახარებული დამხვდა ადადაც, რომელიც დამპირდა, რომ ასეთ საქმეებზე წასასვლელად კვლავაც მომცემდა ფულს. არც მაშინ ნასესხები ფული გამომართვა, — შენთვის ალალია, თავიც ისახელე და შენიანებიც ასახელეო.

სკოლა-ინტერნატიდან მალე მომიხდა სხვა სკოლაში გადასვლა. ეს ის დროა, მთიელებს ბარში რომ მიგვასახლებდნენ. მართალია, პირველ ხანებში გამიჭირდა ახალ სკოლაში, ახალ მასწავლებლებთან და ამხანაგებთან შეგუება, მაგრამ მალე ყველაფერი თავისი გზით წავიდა. სწრაფად გაიარა დრომ. ჩავაბარე გამოსაშვები გამოცდები, ავიღე სიმწიფის ატესტატი და სამუდამოდ დავემშვიდობე სკოლას.

იმ წელს უმაღლესში ვერ ჩავირიცხე, ქულა დამაკლდა, ფიქრია კი, რომელმაც სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ჩარიცხულთა სიაში პირველი ეწერა.

გული დამწყდა, მაგრამ ფიცი დავდე საკუთარ თავთან, რომ აუცილებლად ვისწავლიდი უმაღლესში და ფიქრიას არაფრით არ ჩამოვრჩებოდი.

გამოსახლებულ, გამოცარიელებულ ხევსურეთში დავბრუნდი. ისევ ფეხზე მდგარს მივუსწარი მამისეულ სახლს და მარტომ დავიბუდე. მოვაგროვე საჭირო წიგნები და შევუდექი მომავალი მისაღები გამოცდებისთვის მზადებას.

მძიმე ზამთარი მიდის ძალიან. დათვისის ხორხში დღემუდამ გუგუნებენ ზვავები და ეს უზარმაზარი ხეობა დროდადრო ქარბუქით გაივსება ხოლმე.

თითქოს ბუნებაც შემოსწყრა ხალხის მიტოვებულ მთებს.

ავობს ზამთარი.

დასასრული შემდეგ ნომერში



ბუნების ნორჩ შემოქმედთა წრის წევრები მორიგ მეცადინეობაზე.

# აი, თურმე...

მანანა გელაშვილი

თავიდან ყველაფერი თითქმის ზუსტად ისე მიდიოდა, როგორც დაკვირვებისათვის მზადების პერიოდში ამოიკითხეს ნორჩმა ზოოლოგებმა სპეციალურ ლიტერატურაში — ზაზუნების წყვილი მშვენივრად შეეჩვია ახალ გარემოს, მადაც კარგი ჰქონდათ და არც მოწყენილობა ეტყობოდათ. მერე გამრავლდნენ კიდეც და ნაშიერებზე ზრუნვა მთლიანად დედამ იტვირთა — ერთთავად თავს დასტრიალებდა პატარებს. ყველას ერთად კი ნორჩი ზოოლოგები დავით მანჯგალაძე, ბე-



კაქტუსის მოყვარულები თავს ევლებიან თავიანთ ეკლიან მეგობრებს.

...იკ ჩარგეიშვილი, ხათუნა რუბაშვილი, ეკა ზაქაიძე, ნუკრი მელიქიშვილი და მათი ხელმძღვანელი მერი გორგიშვილი ევლებოდნენ თავს. აჰმევდნენ, აკვირდებოდნენ მათ ნირს, გარეგნობას, უმცირეს ცვლილებებსაც კი ამჩნევდნენ. დაკვირვების შედეგები სპეციალურ რვეულში შეჰქონდათ. მერე კი... მერე მოულოდნელი რამ მოხდა: ზაზუნებს სადგომში საფენი გამოუცვალეს და მაშინ დედა ზაზუნამ, ასეთმა მზრუნველმა და გულისხმიერმა, შვილები მიატოვა, გაიპარა, წავიდა და გადაიკარგა. ბევრი ძებნის შემდეგ გულმოკლულმა ბავშვებმა იგი კლდეზე გადაჩეხილი იპოვნეს. აი, თურმე კიდევ რა ზნე სჭირს ზაზუნას, — აღმოაჩინეს ნორჩმა ზოოლოგებმა.

ვინ იცის, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის წრეებში გაერთიანებულ რამდენ გოგო-ბიჭს და რამდენჯერ აღმოხდომია ეს „აი, თურმე". ძალიან ბევრს და ძალიან ბევრჯერ — როცა ჭინჭრის სამკურნალო თვისებები შეუტყვიათ; როცა გაუგიათ, რომ ტყისპირს მოდებული მშვენიერი ვარდისფერი ყვავილი ფურისულაა; როცა დაავადებული მცენარის დაღუპვას დაკვირვებიან; როცა აბრეშუმის პარკის მიღების პროცესისათვის გაუდევნებიათ თვალი...

ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის უმთავრესი დანიშნულება ხომ ეს არის — აზიაროს ბავშვები ბუნების საიდუმლოებებს, დაუახლოოს ისინი ბუნებას, ხოლო ამ პროცესში უკვე თავისთავად იბადება და ვითარდება ბუნების მოვლა-დაცვის საქმეში თითოეულის მონაწილეობის უცილობლობის შეგნებაც და მოთხოვნილებაც. სადგურში ოთხი განყოფილება მუშაობს და თითოეული მათგანი რამდენიმე წრეს აერთიანებს. მაგალითად, ბიოლოგიის განყოფილებაში (გამგე — თ. მიქიაშვილი) შედის სამკურნალო მცენარეების, ნორჩ ბოტანიკოსთა, ფიტოპათოლოგთა, აკვარიუმის მოყვარულთა, ზოოლოგთა, მეყვავილეთა, მეაბრეშუმეთა წრეები; დაწყებითი კლასების განყოფილებაში (გამგე — კ. სარალიძე) — ნორჩ მებოსტნეთა, მებაღეთა და მეყვავილეთა წრეები; ბუნების დაცვისაში (გამგე — მ. გობეჩია) — ნორჩ ენტომოლოგთა, ფენოლოგთა, დეკორატორ-მებაღეთა, მწვანე არქიტექტურის და ბუნების ნორჩ შემოქმედთა წრეები; ხოლო სოფლის მეურნეობის განყოფილებაში (გამგე — ნ. გასპარაშვილი) — ნორჩ მებაღე-მეხილეთა, მევენახეთა, მებოსტნეთა, მემცენარეთა წრეები. თითო წრეში 15-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. განსაკუთრებით მოუწევთ აქეთ გული თბილისის 144-ე, 111-ე,



მარადმწვანე იუკა ამონაყარით მრავლდება.

89-ე, 127-ე სკოლების გოგო-ბიჭებს, ალბათ იმიტომაც, რომ აქ საგნის ისეთივე მოყვარული და მონდომებული მასწავლებლები ასწავლიან, როგორიც ნონა ჯაფარიძეა 85-ე სკოლიდან. სწორედ ამ სკოლელია ზაზა გზირიშვილი, რომელიც წელს კარგი მუშაობისთვის სადგურმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაგზავნა მოსკოვში.

ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წრეებში გაერთიანებულ ბავშვებს პირველ რიგში საშუალება ეძლევათ პრაქტიკულად გამოიყენონ და შეამოწმონ სკოლაში ანდა დამოუკიდებლად, წიგნების საშუალებით მიღებული თეორიული ცოდნა, გაიღრმაონ და გაიფართოონ იგი. ამის დასტურად ავიღოთ თუნდაც ნორჩ ფიტოპათოლოგთა მიერ ჩატარებული ბოლო დაკვირვება — ცდა „ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლის სპეციალიზაცია და მისი სპორების განვითარება სხვადასხვა სუბსტრატზე". ამ დაკვირვების მონაწილეებმა — ფოთოლა პავლიაშვილმა, ირმა ქეშიკაშვილმა, ნანა აფციაურმა, ნანა ბალახაძემ, გიგა ორჯონიკიძემ წრის ხელმძღვანელ



ეს ჩითილები მალე მოღონიერდება და გადასარგავადაც მზად იქნება.

ნინო გაბეხაძესთან ერთად კარგა ხანს იმუშავეს, რათა საჭირო მასალა შეეგროვებინათ. ისინი გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალს, როგორ ვითარდებოდა ეს დაავადება, სწავლობდნენ მის დინამიკას, აკვირდებოდნენ სპორების განვითარებას სხვადასხვა გარემოში. შედეგებს გულდასმით არჩევდნენ, ადგენდნენ, სიდამპლესთან ბრძოლის რომელი ხერხი ივარგებდა ამა თუ იმ შემთხვევაში, სადგურის აგრონომს აცნობდნენ დაავადებით დაზიანებულ ნარგავს.

მეორე მაგალითად დაწყებითი კლასების განყოფილების ნორჩ ნატურალისტთა საქმიანობიდან აღებული ორი ფაქტის მოყვანა შეიძლება — პატარა დათო შენგელიამ დიდი სიყვარულით შეადგინა სადგურის სასწავლო ნაკვეთზე გაშენებული ბოსტნეული კულტურების ჰერბარიუმი, ნატო ეჯიბაშვილმა კი თბილისში გავრცელებული დეკორატიული ბუჩქების ნერგები შეაგროვა და სადგურის ტერიტორიაზე გაახარა.

საინტერესოდ და ნაყოფიერად მუშაობს ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის ყველა განყოფილება და წრე. ნორჩი ნატურალისტები აგროვებენ სხვადასხვა ჰერბარიუმებს, მწერების კოლექციებს, ადგენენ საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო მცენარეთა ალბომებს, უშვებენ კედლის გაზეთებს, ზრუნავენ ზამთარში ქალაქად დარჩენილ ფრინველებზე, გამოჰყავთ აბრეშუმის პარკი, აწარმოებენ სხვადასხვა სახის დაკვირვებებს, სწავლობენ მცენარის ვეგეტაციურ გამრავლებას (ხშირად აქ გამრავლებული ყვავილებით ბავშვები მერე თავ-თავიანთ სკოლებს ალამაზებენ). საინტერესოდ ტარდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ნორჩ ნატურალისტთა საქალაქო შეკრებები, რომლებზეც, როგორც წესი, ჯამდება გასული წლის შედეგები, საუკეთესო მოსწავლეები ჯილდოვდებიან სიგელებითა და დიპლომებით, მუშავდება და მტკიცდება სამომავლო გეგმა-ამოცანები. დიდი ხალისით ამზადებენ ხოლმე ბავშვები ტრადიციულად ქცეულ მოსავლის დღესასწაულს, ტყის დღეს, ყვავილების დღესასწაულს, ფრინველის დღეს. და, რაღა თქმა უნდა, უდიდესი სიამოვნებით მონაწილეობენ ყველა ექსკურსიაში, იქნება ეს თბილისის ბოტანიკურ ბაღში, კრწანისის ტყე-პარკში, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, ბუნების დაცვის მუზეუმში, თბილისის შემოგარენში თუ ზოოლოგიის მუზეუმში. მთელ ამ მუშაობას უნარიანად წარმართავს კოლექტივი, რომელსაც სადგურის დირექტორი ვახტანგ შუბლაძე და მისი მოადგილე გურამ სუდაძე ხელმძღვანელობენ. გარდა განყოფილებებისა და წრის ხელმძღვანელებისა, მუშაობის საინტერესოდ წარმართვაში თავიანთი წვლილი შეაქვთ აქაურ მეთოდისტებს ალექსანდრა ძაგანიას, ციალა თეთრაშვილს, მერი ვეფხიშვილსა და ნელი შკუბულიანსაც. დიდ დახმარებას უწევენ სადგურს სამეცნიერო დაწესებულებები, კერძოდ ბოტანიკის და ზოოლოგიის ინსტიტუტები, აგრეთვე პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრა. ეს დახმარება, კერძოდ, კონსულტაციებსა და ცდადაკვირვებების ერთობლივ ჩატარებებშიც გამოიხატება. როცა მეშვიდეკლასელმა თემურ ნავერიანმა თბილისის მიდამოებში გავრცელებული ზოგიერთი მერქნიანი ჯიშის ძირითად დაავადებათა შესწავლას მოკიდა ხელი, მას კონსულტანტობას უწევდა პროფესორი მირიან გვრიტიშვილი. სხვათა შორის, თავისი ამ თემით თემური შუშენსკოეში გამართულ ბუნების ნორჩ დამცველთა და ნორჩ მეტყევეთა საკავშირო შეკრებაზე წარსდგა და სპეციალური სიგელიც დაიმსახურა.

მთელი ეს მუშაობა კიდევ უფრო საინტერესო, ეფექტიანი და ნაყოფიერი იქნებოდა, რომ ნორჩ ნატურალისტთა სადგურს პრაქტიკულ მეცადინეობათა ჩატარების შესაძლებლობები არ შეზღუდვოდა მის გარშემო წამოწყებული სხვადასხვა მშენებლობის მიზეზით. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც კი ნორჩ ნატურალისტთა სადგური პიონერთა ქალაქ „მზიურში“ დაიდებს ბინას, ეს საკითხიც მოგვარდება, და მაშინ გოგო-ბიჭების ახალ თაობებს კიდევ უკეთესი პირობები შეექმნებათ იმისათვის, რათა ბუნების საიდუმლოებებს ჩასწვდნენ, გაიცნონ და შეიყვარონ იგი. მაშინ ნორჩ ნატურალისტთა წვლილს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულების საქმეშიც უფრო რეალური და თვალსაჩინო სახე მიეცემა.



ნორჩი მეაბრეშუმეები გამოფენაზე წარსადგომად ემზადებიან.

ოჰო! კარგა გვარიანად გაზრდილა ეს ბაჭია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაღათერ არაბული

ახალგაზრდა პოეტი ბაღათერ არაბული ამას წინათ შემოქმედებითი მივლინებით ოთხი თვე იმყოფებოდა ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს გემებზე, რომლებიც სამხრეთ აფრიკის სანაპიროზე ეწეოდნენ რეწვას. მივლინების დროს პოეტმა შექმნა ლექსთა ციკლები. გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ ციკლებიდან.

### საქართველოს

როგორც ყოველთვის,
როგორც ადრე,
ახლაც ისევე
ამ აფრიკაშიც შენ გიგონებ
და შენ გიხსენებ...
ვიხსენებ აწმყოს
და გმირობებს შენსას უწინდელს,
შენს სვეტიცხოველს —
ჯიშს და ჯილაგს,
ენას უწმინდესს...
შეუდარებელს,
მიუწვდომელს,
ქვეყნად ერთადერთს,
„ვეფხისტყაოსანს",
პალიმფსესტებს,
ძვირფას ეტრატებს...
წმინდა საფლავებს —
საუკუნოდ საფიცარ ბორცვებს,
შენს საგალობლებს,
დატირებებს,
სიმღერებს, ლოცვებს...
მაგ ციხე-კოშკებს,
ჩავლილ ბრძოლებს,
სისხლის ნაკადებს,
სულს გაუტეხელს —
შენ რომელიც მოგყვა აქამდე...
ახალგაზრდობას —
ერის იმედს,
მომავლის დვრიტას,
მხრებზე მამულის სიყვარული
რომ ადევს ტვირთად...
შორით გიხსენებ
მუშტად შეკრულს,
ერთიანს,
მთლიანს
და ქედმოუხრელს,
დღეს რომ ჩემი სამშობლო გქვია!

### ანდალუზიის მთები

აპრილის მთვარე
გიბრალტარს უმზერს,
ირგვლივ ლიცლიცებს
სხივთა არილი,
წინ მთები ჩანან ანდალუზიის,
ზეცის ჩუქურთმად გამოყვანილი...
მალაგას მხრიდან
ქარის ხმა ისმის,
შეუცნობელი სევდით ამვსები,
და კვლავ რატომღაც
ამ ჩამონისლულ
მთების ნახვისას
შენ გამახსენდი...
მწვერვალის თავზე
ღრუბლის ფრიალი
და ხეობების
მრუდე ხაზები,
როგორც ბორბალო,
ან დარიალი,
სწორედ ამგვარი...
სწორედ ასეთი...
აპრილის მთვარე
გიბრალტარს უმზერს,
ირგვლივ ლიცლიცებს
სხივთა არილი,
წინ მთები ჩანან ანდალუზიის,
ზეცის ჩუქურთმად გამოყვანილი...

### ესპანეთში

სალამი, ესპანეთო,
ვიარე ბევრი,
შენთვის გადმოვლახე
უურცესი მანძილი;
აქ არის ჩემი პატარა იბერია,
დიდი იბერიის ნაწილი!..
ბილბაომ ვარდ-ყვავილით ავსილი
ძირს მინდვრის
ხალიჩები დამიგო;
მი და სე[1]
გაყრილი ძმები ვართ, სინიორ,
მე და შენ
ოდესღაც ვყოფილვართ ამიგო[2]...
ერთმანეთს ვეფერებით ოცნებით
შორიდან,
უცნობი ბურუსია
იმ ლამაზ მიზნამდე;
ეს ჩვენი ცხოვრებაც
ყოფილა კორიდა, —
არავინ ვიცით,
რა მახვილს გვიმზადებს...
ერთურთს რომ დავჭირდეთ
(ძმობაში ასეა!),
შენ როგორ გაიგებ?
მე როგორ გავიგო?
მი და სი[3],
გაყრილი ძმები ვართ, სინიორ,
მე და შენ
ოდესღაც ვყოფილვართ ამიგო!..

---

[1] მი და სე — მე და შენ (ესპანურად).
[2] ამიგო — ძმა (ესპ.).
[3] მი და სი — მე და შენ (სვანურად)

---

## ლოლო ჭუმბურიძე

### ხმა

თრიალეთზე, ალაზნისპირ,
ციხე-გოჯთან, ვანთან,
მცხეთის ბჭესთან, უფლისციხის
ქვაბთან, სალოცავთან
ჩურჩულებენ წინაპრები —
განა ქარი ქროლავს,
გვთხოვენ, გვთხოვენ ამ მიწა-წყლის
დაუზარელ მოვლას,

გარჯას, შრომას, გულისტკივილს,
სამამულო ოთოლვას,
რაც გვაქვს დიდი წარსულიდან,
რაც გადარჩა ქოლვას, —
მომავლისთვის მის შენახვას,
სადღეისო დოვლათს.

ჩურჩულებენ წინაპრები,
განა ქარი ქროლავს,
ეფინება იმათი ხმა
ჩვენს ცას, მიწას, სკოლას.




მორის მიშველაძე

ფანტასტიკური მოთხრობა

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

1

აღმოსავლეთიდან გამოიჭრა მზის სხივი. მყის მისწვდა მოპირდაპირე მთის წვერს და ხეთა კენწეროები აალვარა. მერე ზეაწეულმა ჩაბნელებულ კუთხე-კუნჭულს მოუთათუნა უსხეულო ხელი, თითქოს შეამოწმა — გუშინდელს აქეთ ყველაფერი რიგზეა თუ არაო და, გულდაიმედებული, უშიშრად ჩაიღვარა ხეობის სიღრმეში.

ნისლმა თანდათანობით აიწია ზევით და ფთილა-ფთილად დაგლეჯილი აცურდა პიტალოზე. უფსკრულის ძირზე გამოკრთა არაგვის დაკლაკნილი, ძალუმად მტოკავი ძარღვი...

ფერდობზე შეფენილმა ცხვარ-ბატკანმაც გამოიღვიძა. ქოხის წინ მთვლემარე ნაგაზმა უცებ ყური ცქვიტა და ყეფა-ღრენით დაეშვა თავქვე. მეცხვარემ მზერა გააყოლა გაალმასებულ ძაღლს. ნისლის ნაფლეთებში ძლივს გაარჩია მისკენ მომქროლავი მხედარი.

— ბოთვერ! აქეთ, აქეთ! — დაადევნა ნაგაზს და თავადაც სირბილით მიჰყვა უკან.

„ნეტავ ვინაა“, — ამის გაფიქრებაღა მოასწრო. იმავ წამს თვალწინ სოფელში დატოვებული მოხუცი მამა წარმოუდგა. „ვაითუ რამე მოუვიდა?“...

ფიქრის დრო აღარ იყო. მანძილი ცხენსა და ძაღლს შორის თვალსა და ხელს შუა დნებოდა. მეცხვარემ ერთხელ კიდევ შეუძახა ბოთვერას. მხედარმაც შეაკავა აქაფებული ცხენი.

— მოხვედ მშვიდობით, ვეფხიავ! რა ამბავია, რას იტყვი? მამაჩემს, ოჯახს ხომ არაფერი? — სხაპასხუპით მიაყარა მწყემსმა.

მოსულმა აღარ აცალა სიტყვის დამთავრება:

— ცუდი ამბავია, გიორგი... ძალიან ცუდი... მამაშენი ისეა, როგორც დატოვე, შენს მზიასაც არა უშავს, მაგრამ...

ვეფხია წამით შეჩერდა, თითქოს თქმა უჭირსო. ღრმად ჩაისუნთქა შემოდგომის დილის ცივი ჰაერი.

— ურჯულოები შემოჭრილან ბარში. თბილის-ქალაქს მიადგებიან მალე! — ამოიხრიალა მოსულმა და სიტყვებს ბოღმა ამოაყოლა.

— ურჯულოები? — თითქოს სხვისი ხმით გაიმეორა გიორგიმ და უნებურად იქით გაიხედა, საითაც არაგვი მიაქანებდა მოუღლელ ტალღებს — საითაც ბარი ეგულებოდა...

— ახლავე მივდივართ?

— დღესვე. მე ბიჭებს გავაფრთხილებ გაღმა. შენ სოფელში ჩაირბინე, ცხვარი ვისმე დაუტოვე.

— რა დროს ცხვარია! — ამოიგმინა გიორგიმ და მიწას გამეტებით ჩასცხო კომბალი.

•

არა, გზა არ არევია გიორგის. ადრეული შემოდგომის ნაწვიმარ მიწას მკაფიოდ ატყვია ფლოქვების ურიცხვი ანაბეჭდი. სხვა ნიშნებითაც ხვდება გიორგი ფხოველი, რომ ცხენოსანთა რაზმმა აქ ახლახან ჩაიარა. მაგრამ მარტო ნაკვალევს რა თავში იხლის — მხედრები არ ჩანან!

საურმე გზა მკვეთრად უხვევს მარჯვნივ. მერე ვაკე უნდა იწყებოდეს. შეიძლება... შეიძლება კი არა, უეჭველად აქ დაინახავს ცხენებზე ამხედრებულ სამას თანამოძმეს, მტრის დასახვედრად რომ მიჰქრიან არაგვის ხეობიდან თბილის-ქალაქისაკენ. დაინახავს, ოღონდ ეს მოსახვევი გათავდეს მალე...

გიორგი ფხოველმა ერთხელ კიდევ შეუძახა ცხენს. მათრახი რომ გადაუჭირა, იგრძნო — იუცხოვა დარტყმა მერცხალამ. მათრახს შეუჩვეველმა ისეთი ძალით გაიწია წინ, კინაღამ სადავე წაართვა. გიორგიმაც ინანა, რად გავიმეტეო... იცის, განა არ იცის, რომ მერცხალაც დაიღალა, მოშივდა და მოსწყურდა, მაგრამ რა ქნას, იქნებ ქალაქის მისადგომებთან მაინც წამოეწიოს სამას ამხანაგს, რათა მათთან ერთად ამოიყაროს მტრის ჯავრი, თორემ მერე გვიან იქნება...

ურჯულოები... ჯერ ახლო არც უნახავს გიორგის, როგორი არიან. მამისაგან გაუგონია მხოლოდ მათი დაუნდობლობისა და სისხლისმსმელობის ამბავი, — მრავალბრძოლაგამოვლილი ბერდია ფხოველისაგან, სახეზე რომ სამი ნახმლევი აზის ვაჟკაცობის ბეჭდად.

„ისინიც ხომ ხალხნი არიან? — გაიფიქრა. — ჰოდა, ექნებათ კიდეც თავიანთი სამშობლო... მაშ რად ვერ ეტევიან საკუთარ მიწაზე? არ ჰყოფნით? თუ სიხარბით

მოსდით — მეტი უნდათ და ამიტომ სხვისაკენ უჭირავთ თვალი? აბა, რას დათარეშობენ, რას დაეძებენ გამუდმებით? — საკუთარ თავს დაუსვა კითხვები გიორგიმ და თვითონვე უპასუხა: — სიკვდილს ეძებენ... და იპოვსიან კიდეც! სიკვდილს არავის დავამადლით!“

მოსახვევი თანდათან ახლოვდებოდა... გზაც აღარ იყო ისეთი ციცაბო, შეუმჩნევლად გასწორებულიყო.

გიორგი კვლავ ფიქრებს აჰყვა: „რას გვედავებიან? რას გვეცილებიან? ამ მთებს? ამ წყაროებს? ამ მოჩითულ ტყე-ველს? ამ ბაღ-ვენახებს — ზევიდან ხევსურულ ხალიჩასავით რომ მოჩანს?“

— არ დავანებებთ! — უნებურად წამოიძახა მხედარმა. ანაზდად შერცხვა საკუთარ თავთან ხმამაღლა დალაპარაკებისა. ყელს მომდგარი ბოღმის გორგალი უკანვე ჩააბრუნა და ფიქრით ისევ სოფელს მისწვდა.

„მამა“... მთიდან ჩამოსულ გიორგის ცუდად ენიშნა მამისეულ სახლთან შეჯგუფებული ხალხი. მხოლოდ წამით, ერთ გაელვებასავით მოასწრო მისი გონების დაპყრობა ავისმომასწავებელმა მოლოდინმა. მყისვე გამოაჭიტა იმედის სხივმა: „ალბათ სალაშქროდ წამსვლელნი ბჭობენ რაღაცას“, — გაიფიქრა. მაგრამ ქალები? ამდენ შაოსანს რად შეუყრია თავი? ფხოველი ჩამოქვეითდა. სახლამდე დარჩენილი ორიოდე ნაბიჯი — წამში გასავლელი — საუკუნის გზად ექცა...

...როგორ სწყდება გული, რომ გონზე მყოფს ვერ მოუსწრო მოხუცს... ვინ იცის, რის თქმა უნდოდა, რას უბარებდა მტერთან საომრად პირველად მიმავალ ერთადერთ ვაჟს? იცოდა თუ არა საქართველოს გასაჭირი? ალბათ იცოდა და გული სწყდებოდა, რომ თვითონ ვერ მიდიოდა მტრის ჯავრის ამოსაყრელად. თორემ სხვას რას უნდა მიაწეროს გიორგიმ მამის ერთადერთი თვალიდან გადმოგორებული ცხელი კურცხალი, რომელმაც სახე დაუსველა, როცა მოხუცს ჯერ მხარზე ემბორა და მერე დიდი ხნის წინათ მოშუშებული ნახმლევები დაუკოცნა?..

ერთბაშად დაწყებულმა წვიმამ გამოარკვია სევდიანი ფიქრებისაგან თბილისისკენ მიმქროლავი მხედარი. ოხშივარი ავარდა გახურებულ ცხენს. საოცრად ნაცნობი და სასიამოვნო იყო გიორგისათვის ეს ოფლშერეული ორთქლის სუნი. პირველად მაშინ შეიგრძნო, მამამ სულ მთლად პატარა ბიჭი რომ შესვა ცხენზე. ახლა ის ცხენიც აღარაა ცოცხალი — მერცხალას დედა... ჰოდა, მაშინ, მამამ რომ ცხენზე შესვა, შეეშინდა თუ არა? ალბათ, შეეშინდებოდა, მაგრამ შიში მამის იქ ყოფნამ დააჯაბნინა გიორგის! ახსოვს მხოლოდ ის სუნი, ოფლშერეული ორთქლის მკვეთრი სუნი და კიდევ ერთი რამ: იმდენად გაიტაცა ახალმა უჩვეულო შეგრძნებამ, რომ ტირილით აიკლო იქაურობა, როცა ცხენიდან ჩამოსმა დაუპირეს...

„მერცხალა“... ნეტა თუ იცის, რა გასაჭირი ადგას გიორგის? უთუოდ გრძნობს რაღაცას... აბა, აქეთ ხომ არასოდეს ყოფილან, ცხენი კი შეუცდომლად მიდის, დაუბრკოლებლად მიჰყვება კვალს. უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს გიორგი და მისი მერცხალა. არცაა გასაკვირი, კვიცობიდან გიორგის ხელში გაიზარდა. სულ პატარა იყო, უმწეო და უსუსური, მამამ რომ აჩუქა. მას უკან არ მოშორებიან ერთმანეთს. ბევრი, ძალზე ბევრი რამ ახსენდება გიორგის თავის ცხენზე — სასაცილოც და სევდიანიც. ერთი მაინც განსაკუთრებით ჩაებეჭდა გონებაში: მერცხალამ, თუმცა ასაკით პატარა იყო, ტანი უცბად აიყარა. სწორედ ამიტომ ვერ ფლობდა სხეულს, თითქოს სხვისიაო, ისე სასაცილოდ დაკინკილაობდა უზომოდ გაზრდილი კიდურებით... ერთხელაც იყო, ნაშალ ქვაზე წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და უკანა ფეხებით ჩაითრია ღორღმა. ცოტაც და, უფსკრულში გადაიჩეხებოდა... ბევრი ებღაუჭა გიორგი, როგორღაც შეაკავა, მაგრამ ზევით კი ვერ ამოათრია. უმწეოდ ფხოჭნიდა სუსტი არსება ქვიან მიწას წინა ფეხებით... ბიჭიც გრძნობდა, ძალა რომ ელეოდა, მაგრამ მაინც არ უშვებდა ხელს. არადა, რა ღონე უნდა ჰქონოდა თორმეტიოდე წლისას...

სულზე მოუსწრო მამამ. ფიცხლად ამოათრია ორივე. გონდაკარგულ გიორგის ძლივს გააშლევინეს თურმე მკლავები; ისე მაგრად შემოეჭდო ისინი კვიცისათვის.

...ახლა ორივენი ობლები არიან, ცხენიც და კაციც. საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ მხოლოდ. თვითონ, სხვების დაუხმარებლად უნდა ამოვიდნენ ყოველგვარი გასაჭირიდან... მარტონი უნდა დახვდნენ მომსვლელს და გააცილონ წამსვლელი. ყველაფერს უნდა გაუძლონ! აკი გაუძლო და აჯობა კიდეც მომაკვდავმა ბერდია ფხოველმა თავის უკანასკნელ ღამეს. ვერავინ გაიკებს, რა ძალამ მიატანინა განთიადამდე სული დამბლადაცემულს. მომაკვდავმა, როგორც კი დაინახა, თუ როგორ მოხვდა კარის ღრიჭოდან შემოსული პირველი სხივი ტახტზე დაწყობილ ფარსა და ხანჯალს, თითქოს ლოგინიდან წამოწევა სცადა, აკანკალებული ხელებით დაეყრდნო ფიცარს და... გათავდა კიდეც. სახეზე უცნაური კმაყოფილება აღბეჭდოდა, შეიძლება იმის გამო, რომ გასაჭირისკენ მიმავალ შვილს ვაჟკაცობისა და ამტანობის უკანასკნელი მაგალითი უჩვენა...

მზიას კივილმა გამოაფხიზლა გიორგი. ძლივს ააგლიჯეს მამის ჯერ კიდევ თბილ მკერდს ჩაკონებული. თავგამეტებული იხოკდა სახეს გიორგის ერთგული მეუღლე. სულაც არ უგდებდა ყურს სოფლის დედაკაცების ბუტბუტს: შენთვის არ შეიძლებაო, დღე-დღეზე ბავშვს ელოდები და თავს უნდა გაუფრთხილდეო...

...თუ ვაჟიშვილი აჩუქა ღმერთმა, — მამის სახელს დაუძახებს უთუოდ. თუ ქალი, მაშინ თამარს დაარქმევს — საქართველოს მზისა და დედოფლის სახელს...

მერე ის იყო, ხევისბერმა მამისეული ფარი და ხმალი მიაწოდა. უსიტყვოდ მიხვდა მოხუცი, საითაც მიუწევდა გული გიორგის. ისიც უთხრა, მიცვალებულის გაპატიოსნებას და წესისამებრ დამარხვას უშენოდაც შევძლებთ, შენ კი იქით წადი, საითაც გული მიგიწევს, სადაც შენი ტოლ-მეგობრები გეგულვისო.

...წვიმამ გადაიღო. სქელ ღრუბლებს შორის დარჩენილ ღრიჭოებში გაუბედავად გამოანათა შემოდგომის მზემ. გაქაფული ცხენი კვლავ მიაპობდა განიერი მკერდით წვიმიანი დღის ცივ ჰაერს.

აჰა, მოსახვევიც. ამის იქით უკვე ქალაქი იწყება. ალბათ ახლა კი დაეწევა რაზმს.

მოსახვევს იქით ახალი მოსახვევი გამოჩნდა მხოლოდ.

ნუთუ ამდენით გაასწრეს? ნუთუ ერთხელაც არ შეუსვენიათ გზაში? ან როგორ ირბინეს ასეთი სისწრაფით? გზადაგზა ხალხიც ხომ უნდა მოეკრიბათ. ნუთუ ამან მაინც არ შეაფერხა?

როგორც იქნა, თბილის-ქალაქიც გამოჩნდა...

არა, ქალაქზე რომ გაიაროს, დიდხანს მოუნდება. თვალიც გაექცევა აქეთ-იქით: ჯერ ხომ არ უნახავს თბილისი. სჯობს, ისევ მტკვარს გაჰყვეს ნაპირ-ნაპირ, მერე სადმე გადაუხვიოს, მოკლეზე მოსჭრას...

აჰა, უკან დარჩა თბილისი. რა მალე გაილია მანძილი სოფლიდან ქალაქამდე... ღმერთო, რა პატარა ყოფილა საქართველო!

გიორგიმ კარგად ვერ გაარჩია, წინიდან მართლა მოესმა ხმაური, თუ მოეჩვენა. სმენად გადაიქცა. არა, ნამდვილად ესმის რაღაც ხმები. „ჩვენები არიან! თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! მეც აქა ვარ, მალე შემოგიერთდებით“. გიორგიმ ახლა უკვე აშკარად გაიგონა ცხენების თქარათქური და კაცთა ყიჟინა. მართალია, წინ ჯერ კიდევ ვერაფერს ხედავს, ხეები უშლიან მტკვრის ჭალაში მყოფს, მაგრამ მალე, სულ მალე გავა აქედან და...



„რა მოუვიდა მერცხალას? რად მოუნელა ნაბიჯს? ლამის შეჩერდა კიდეც. ნუთუ ასე დაიღალა? არა და, რაღა ახლა მოუნდა დადგომა, როცა ბიჭები აქედან ორ ნაბიჯზე არიან?!“ — გიორგიმ მძლავრად დაიქნია აღვირი, მაგრამ ამაოდ: ცხენმა ოფლისაგან მბზინავი თავკისერი მაღლა ასწია, პატარა ყურებიც დაცქვიტა, ჰაერი მიყნოს-მოყნოსა, ერთიც ჩაიფრუტუნა უცნაურად, მერე წინა ფეხი ღონივრად ჩასცხო მიწას და ადგილზე გაქვავდა.

არა, ასეთი არასოდეს უნახავს გიორგის თავისი მერცხალა. თუ შიმშილმა აგრერიგად შეაწუხა, რად არ მოწიწკნის ბალახს, მწვანედ რომ ბიბინებს მტკვრის ნოყიერ ჭალაში? თუ სწყურია, აჰა, დალიოს... მაშ, რა ამბავია? დაიღალა? არა, არც ისე მძიმედ სუნთქავს, როგორც დაქანცულს შეეფერება... მაშ, რა ხდება? რად აუცქვეტია ყურები? რამ გააქვავა ქანდაკივით?

გიორგი უხმაუროდ ჩამოხტა ცხენიდან. ცალ ხელში მამისეული ხანჯალი მოიმარჯვა, მეორეთი მერცხალას აღვირს მისწვდა, მისი ბოლო ხელზე დაიხვია და რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა. ცხენი ჯერ თითქოს შეყოყმანდა, მერე, როცა აღვირი დაიჭიმა, მორჩილად, თავის ოდნავი კანტურით გაჰყვა პატრონს.

ფეხაკრეფით სიარულს ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული ფხოველი, ჯერ კიდევ იმ დროიდან, ჯიხვებზე სანადიროდ რომ დაჰყავდა მამას. ახლაც ისე ფრთხილად მიდიოდა, გეგონებოდათ, მიწას ფეხს არც კი აკარებსო.

ჯერ კიდევ ხშირი იყო ტყე, კვლავ არაფერი ჩანდა წინ. „გვერდით მოვუხვევ“, — გადაწყვიტა ფხოველმა და მერცხალა მოაბრუნა.

ცხენების თქარათქური უკვე სულ ახლოს ისმოდა. „დავეწიე! — სიხარული მოერია მხედარს. აჰა, ჭალაც გათავდა. ფხოველმა ცალი ფეხი უზანგში წაჰყო, ხელი მაგრად ჩაავლო უნაგირის ფეხს და, ის იყო, ცხენს უნდა მოხტომოდა, რომ იქითკენ გაიხედა, საიდანაც ყიჟინა მოესმა. გაიხედა და... გახევდა. უცბად ვერ გაერკვა და-

ნახულში, თვალებზეც კი მოისვა ხელი... არა, არ მოსჩვენებია გიორგის: ცხენოსანთა რაზმი მართლაც მოჰქროდა შუა მინდორზე, ურიცხვი ხმალი ლაპლაპებდა მზეზე. „რ ა ტ ო მ მ ო რ ბ ი ა ნ ა ქ ე თ?!" — ჯერ ეს გაიფიქრა, მაგრამ ფიქრი შუაზე გაუწყდა. „ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ე ბ ი!"

წამსვე გაიღვიძა ბავშვობიდანვე თანშეზრდილმა სიფრთხილის გრძნობამ. გიორგიმ სწრაფად დაიხია ჭალის სიღრმისკენ. „მაშ, მტერი აქვეა, ქალაქისკენ მოქრის გამალებული. ჩვენები? ჩვენები სადღა არიან? ვაითუ... — ავმა ეჭვმა ელდასავით დაუარა ფხოველს. — ვაითუ დავმარცხდით!"

გიორგიმ ერთხელ კიდევ გააპარა თვალი მოახლოებული მტრისაკენ. ახლა კი ნათლად ხედავს წითელჩალმიანთა გაოფლილ სახეებს. მათი მხიარული შეძახილებიც ესმის. აჰა, ერთ წუნკალს მოკვეთილი თავი წამოუგია ხმლის წვერზე და მოათამაშებს.

„დ ა ვ მ ა რ ც ხ ე ბ უ ლ ვ ა რ თ"...

გიორგი ქარივით მოახტა ცხენს და „ეჰეჰეიი!" — დაჰკივლა ხაფი ხმით.

ამ ყვირილს ამოაყოლა გიორგი ფხოველმა ქართველთა მარცხით გამოწვეული ბოღმა.

ამ ყიჟინაში ჩააქსოვა სიხარულიც, რომელიც მხოლოდ ახლა შეიცნო — რა უბედური იქნებოდა, მტერს რომ არ გადაჰყროდა, ცოცხალი სად გამოჰყოფდა თავს!

...ყიზილბაშთა მარბიელი რაზმები ერთმანეთს ასწრებდნენ ქალაქში შეჭრას: ადრე მისულს მეტი ნადავლი შეხვდებოდა! სიხარულისაგან გონებადაბნეულნი უცბად ვერც კი გაერკვნენ მომხდარში. სანამ გონს მოვიდოდნენ, ელვასავით მოვარდნილმა ფხოველმა მარცხნივაც და მარჯვნივაც საკმაოდ ჩეხა. რამდენიმე წითელჩალმიანი თავი გაგორდა გადათელილ მწვანე ბალახზე. მერე ერთბაშად შეიკუმშა ცხენოსანთა რაზმი, მცირე ხანს ასე იყო შედედებულ-შეწებებული. ბოლოს სწრაფადვე გაიშალა...

ყიზილბაშებმა კვლავ თბილისისკენ ქნეს პირი...

...მერცხალას კისრიდან შადრევანივით ასხამდა სისხლი და ბალახს წითლად ღებავდა. ცხენი ერთხანს მაინც იდგა ფეხზე. მერე, სანამ თვალთ დაუბნელდებოდა, უკანასკნელად ახედა სისხლისფერ ვეება მზეს, წინა ფეხით ღონივრად მობორჯღა მიწა, ერთიც დაიჭიხვინა და თვითონაც იქ დავარდა, სადაც სპარსელების მიერ აკუწული მისი პატრონი იწვა.

მალე თბილისის გარეუბნებში ცეცხლის ალი ავარდა: აღა-მაჰმად ხანის ურდოები ქალაქში შეიჭრნენ.

1795 წლის 11 სექტემბრის ავადმოსაგონარი დღე იწურებოდა.

2

ქალაქის პიონერთა სასახლეში ფიზიკის წრის მორიგი მეცადინეობა დასასრულს მიუახლოვდა. ბავშვები უკვე წასვლის თადარიგს შეუდგნენ, როცა მასწავლებელმა გამოუცხადათ, რომ ორი დღის შემდეგ ექსკურსია ელოდათ ფიზიკის ინსტიტუტში. ამ ამბავმა საყოველთაო მხიარულება გამოიწვია: ექსკურსია ყველა ბავშვს უხარია და ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც წრის წევრები იყვნენ გამონაკლისნი. ფიზიკის ინსტიტუტის დათვალიერება, იქაური ლაბორატორიებისთვის თვალის შევლება, გამოჩენილ მეცნიერებთან შეხვედრა მათი დიდი ხნის ოცნება იყო.

„ვინ იცის, — ფიქრობდა წრის მეცადინეობიდან შინ მიმავალი გია ფხოველიშვილი, — იქნებ რაიმე მნიშვნელოვანი ცდის ჩატარებასაც დაგვასწრონ. უჰ, რამდენ საინტერესოს ვნახავთ! როდის გავა ეს ორი დღე"... ცოტა ხნის შემდეგ აღტაცება უკვე დაეჭვებამ შეცვალა: „თუმცა, რა სისულელეს ვამბობ! ვინ დაგვასწრებს ნამდვილ ექსპერიმენტს! განა თამაზ მასწავლებელმა არა თქვა, რომ არის ისეთი ცდები, რომელთა ჩატარებაც ათასობით მანეთი ჯდებაო. ჰოდა, ჩვენი გულისთვის ვინ ჩაატარებს ასეთ ცდებს?" — ეჭვი თანდათან განმტკიცდა, მაგრამ არც იმედი ჩამცხრალა: „თუმცა, ხომ შეიძლება, ცდა სწორედ ჩვენი ექსკურსიის დღისათვის იყოს დაგეგმილი? მაშინ უეჭველად დავესწრებით". ეჭვი ისევ შეეკამათა: „უცხო პირებს იქ კი არა, ჩვენი, პიონერთა სასახლის ფიზიკის კაბინეტში არ ვუშვებთ, აბა, ინსტიტუტის ლაბორატორიაში ვინ შეგვიშვებს! იქნებ სრულიად საიდუმლო ცდებიც ტარდება?" — გაიფიქრა ბიჭმა და ერთხანს მოიწყინა, მაგრამ იმედმა, მისი ასაკისთვის ესოდენ დამახასიათებელმა იმედმა მაინც წამოჰყო თავი და დაღვრემილობა გაუფანტა: „ჩვენ რატომ ვართ უცხოები? ჩვენც ხომ ფიზიკოსები ვართ, ნორჩ ფიზიკოსთა წრის წევრები. ჩვენი ხელმძღვანელი კი — თამაზ მასწავლებელი — ფიზიკის ინსტიტუტშიც მუშაობს და პიონერთა სასახლეშიც. ჰოდა, ჩვენც მასთან ერთად რომ გვნახავენ, ყველაფერს გვიჩვენებენ და ექსპერიმენტსაც დაგვასწრებენ. ოღონდ ეს ორი დღე მალე გავიდეს"...

— ხომ არ დაიღალეთ, ახალგაზრდებო? — მიმართა ბავშვებს მაღალ-მაღალმა სათვალიანმა მამაკაცმა, რომელიც წრის წევრებს ინსტიტუტის დათვალიერებისას მეგზურობას უწევდა. „პროფესორი გურამ ალექსანდრეს ძე მინდელი", — ასე გააცნო ბავშვებს იგი თამაზ მასწავლებელმა.

— არა, არ დავღლილვართ! — ერთხმად უპასუხეს.

— თამაზ! — ახლა წრის ხელმძღვანელს მიუბრუნდა სათვალიანი. — დროა ჩვენს განყოფილებაში ჩავიყვანოთ ბავშვები. მე იქ რაღაც-რაღაცებს მოვაწესრიგებ, შენ კი მანამდე მოუყევი, თუ რაზე მუშაობს ამჟამად ჩვენი ლაბორატორია.

— კეთილი, გურამ. რამდენ ხანში ჩამოვიდეთ?

— მოდით, ჯერ ისაუზმეთ, აქვე ბუფეტში, ამასობაში კი დროც გავა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ბუფეტიდან გამოსულებმა ინსტიტუტის ერთ-ერთ დიდ დარბაზში მოიყარეს თავი. თამაზ მასწავლებელი დაფასთან დადგა.

— ბავშვებო, თქვენ იცით, რომ სივრცეში ბევრი სხვადასხვანაირი ტალღა ვრცელდება. მათ შორის — გრავიტაციული, ბგერითი, ელექტრომაგნიტური და ასე შემდეგ. ყოველივე ამაზე თქვენ სკოლის ფიზიკის სახელმძღვანელოში წაიკითხავდით. ისიც იცით, რომ ბგერის გავრცელებისათვის აუცილებელია რაიმე გარემო, ელექტრომაგნიტური ტალღა კი, მაგალითად, სიცარიელეშიც მშვენივრად გადაადგილდება. ამაზე მე თქვენ ადრე უკვე გესაუბრეთ.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ბგერით ტალღას წინ დავუხვედრეთ რაღაც საგანი. რა მოხდება? ბგერა ამ საგნიდან ნაწილობრივ აირეკლება, ნაწილობრივ კი მასში გაივლის. ხომ ასეა? მოდით, ახლა დავინტერესდეთ ნივთიერებაში ბგერის გავლის მოვლენით. დავსვათ ასეთი კითხვა: რა ხდება ამ დროს იმ საგანში, რომელმაც ბგერის ზემოქმედება განიცადა? ხომ არ შეიძლება, რომ ტალღის გავლამ უკვალოდ ჩაიაროს! მაშ, რამდენ ხანს რჩება ნივთიერებაში ამ მოქმედების კვალი? წუთით დავუშვათ, რომ ყველა ამ კითხვის პასუხი ჩვენთვის ცნობილია. ამის შემდეგ კი დავსვათ მთავარი კითხვა: ვთქვათ, ხელთა გვაქვს საგანი, რომელმაც ბგერითი ტალღის მოქმედება განიცადა. შეიძლება თუ არა, დატოვებული კვალის მიხედვით თვითონ ტალღის შესახებ ვიმსჯელოთ? — თამაზ მასწავლებელი ბავშვებს მიაჩერდა. — აბა, რას იტყვით?

— ალბათ შეიძლება!

— შეიძლება!

— გააჩნია, კვალი რამდენ ხანს დარჩება ნივთიერებაში! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— სწორია, თურმე ასეთი რამ შესაძლებელია. — თამაზი დაფისკენ მიბრუნდა. — მე ახლა დაგიხაზავთ იმ საექსპერიმენტო დანადგარის სქემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჩვენს კითხვაზე პასუხის გაცემა. ავტორთა ჩანაფიქრის თანახმად, აქ უნდა მოვათავსოთ საგანი, რომელმაც „მოისმინა" ბგერა, ესე იგი, განიცადა ბგერითი ტალღის მოქმედება. ეს გადამწოდების ბლოკია, რომელთა საშუალებით საგნის ზედაპირიდან მიღებული ინფორმაცია გადაეცემა გამშიფრავ მოწყობილობას. სწორედ გამშიფრავი ბლოკია ამ დანადგარის მთავარი ნაწილი. იგი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ხმის გენერატორთან, ეს უკანასკნელი კი — ჩვეულებრივ ხმამაღლა მოლაპარაკესთან, ზოგი რომ არასწორად „დინამიკს" ეძახის. ცხადია, აქ არ გვაქვს იმდენი დრო და საშუალება, რომ თითოეული ამ ბლოკის შესახებ დაწვრილებით მოგითხროთ. ამას ჩვენ წრის შემდეგ მეცადინეობებს დავუთმობთ. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ხმამაღლა მოლაპარაკე ზუსტად იმ ბგერას, იმ ხმას გაიმეორებს, რომლითაც თავდაპირველად საგანი „დასხივდა". ასეთია, ორიოდე სიტყვით, ამ ექსპერიმენტის არსი.

თამაზი ბავშვებისაკენ შემობრუნდა.

— მე უკვე ვხედავ და ვგრძნობ, — განაგრძო მან, — რომ უამრავი შეკითხვა დაგებადათ. მთავარი, ალბათ, მაინც ისაა, თუ როგორ „იმახსოვრებს" ლითონის ან სხვა მასალისაგან დამზადებული საგანი ხმას. საქმე ისაა, რომ ამ დროს ლითონის კრისტალურ მესერში ხდება მცირე გადაადგილებები, რომლებიც მის ელექტრულ, მაგნიტურ და სხვა თვისებებს ცვლიან. სწორედ ამ გადაადგილებებს აღმოაჩენს ლაზერის სხივი. გამშიფრავი მოწყობილობა კი ამ ცვლილებების მიხედვით, კომპიუტერისა და ხმის სინთეზატორის საშუალებით, აღადგენს ბგერას. ხმის სინთეზატორს თქვენ უკვე იცნობთ, იგი ნებისმიერ საესტრადო ორკესტრში აქვთ ნაირ-ნაირი ბგერების მისაღებად. აქ კიდევ ერთი მომენტია მთავარი: ცხადია, რომ ზემოხსენებული გადაადგილებების, ანუ დისლოკაციების აღმოსაჩენად საჭიროა ბგერით „დასხივებული" საგანი შევადაროთ ეტა-

ლონს, ანუ „დაუსხივებელ“ საგანს. ზუსტად ისევე, როგორც რაიმე სხეულის აწონისას ვიქცევით: ჩვენ ხომ ასაწონი სხეულის მასას წინასწარ დამზადებული საწონის, ანუ ეტალონის მასას ვადარებთ? ჩვენი ცდის პირობებში ეტალონის როლს ასრულებს აბსოლუტურ სიჩუმეში დამზადებული იმავე მასალის საგანი, ე. ი. ისეთი სხეული, რომელსაც ბგერის ზემოქმედება არ განუცდია. მეტი რა უნდა გითხრათ, — თამაზ მასწავლებელი წამით შეყოვნდა და მაშინვე განაგრძო: — ამ ექსპერიმენტის, ისე როგორც უამრავი სხვა ფიზიკური მოვლენის, უფრო დაწვრილებით განხილვა მხოლოდ მათემატიკური განტოლებების მოშველიებით შეიძლება. ამიტომ ეს საქმე სამომავლოდ გადავდოთ. ახლა კი გიპასუხებთ შეკითხვებზე.

ყველას უკან მჯდომმა ბუთხუზა ბიჭმა დაასწრო:

— აი, თქვენ ბრძანეთ, რომ ხმამაღლა მოლაპარაკე გაიმეორებს თავდაპირველ ხმას იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი კარგად წარიმართა...

— ჰო, თენგიზ, მე ეს შემთხვევით არ მითქვამს. საქმე ისაა, რომ ექსპერიმენტს ძალიან მგრძნობიარე აპარატურა სჭირდება, იმდენად მგრძნობიარე, რომ ხანდახან ცდის შედეგზე გავლენას ახდენს გარეშე ხმაური, ეგრეთ წოდებული ფონი. ამიტომ ჯერჯერობით დადებითი ეფექტი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიღწეული, როცა აბსოლუტურ სიჩუმეში ჩამოსხმული ორი ლითონის ნაჭრიდან ერთ-ერთს გარეშე ხმებისგან საიმედოდ განვამხოლოებთ და ეტალონად გამოვიყენებთ, მეორეს კი მხოლოდ ერთხელ „მოვასმენინებთ“ ხმას, ანუ „დავასხივებთ“ ძლიერი ბგერით. თუ საგანმა ორჯერ და მეტჯერ განიცადა ხმის ზემოქმედება, მაშინ დანადგარს უჭირს „ამოირჩიოს“ ამ ხმათაგან ჩვენთვის სასურველი ბგერა. ამის მიზეზია ამ ტალღების ერთმანეთზე ზედდება, მათი აღრევა. ასე რომ არ იყოს...

— თამაზ, აბა, შემოუძეხი სტუმრებს — გაისმა გამოღებული კარიდან პროფესორის ხმა. ბავშვები ერთიმეორის მიყოლებით ფრთხილად, ფეხის წვერებზე სიარულით შევიდნენ ლაბორატორიაში.

●

— ახლა, როცა უკვე ნახეთ და გაეცანით ჩვენს ლაბორატორიას, როცა დაესწარით უბრალო ლითონიდან ხმის აღდგენის ექსპერიმენტს, მე მინდა ცოტა წინ გავიხედო და მომავლის ზოგიერთ პერსპექტივაზე მოგითხროთ. — პროფესორი წამით ჩაფიქრდა, მერე ისევ იმ დანადგარს მიუბრუნდა, სადაც ცდა ჩატარდა, და განაგრძო: — უნდა გითხრათ, რომ ჩვენს მოწყობილობას შეუძლია „აალაპარაკოს“ ნებისმიერი ლითონის საგანი. არა მარტო ის, რომელიც ჩვენ თვითონ, ხელოვნურად, ბგერით ერთჯერადად დავასხივეთ, არამედ, ვიმეორებ, ნებისმიერი საგანი, გინდ ერთხელ დასხივებული, გინდ ათასჯერ, ახალიც და ძველიც, ოღონდ ეგაა, ამ დროს მიიღება ხმების ერთობლიობა, ანუ ბგერათა სპექტრი. ხანდახან კი ხერხდება მათი დაცალკევება და ერთი ხმის გამოყოფა, მაგრამ ასეთი რამ შემთხვევით ხასიათს ატარებს. უმეტეს შემთხვევაში კი ამ ხმებს ჩვენ ერთმანეთისგან ვერ ვაშორებთ. რა ხმებზეა აქ ლაპარაკი? ავიღოთ ნებისმიერი საგანი, აი, თუნდაც რკინის ეს ნატეხი, — გურამმა თაროდან მოგრძო და ბრტყელი ლითონის საგანი ჩამოიღო. — ამ საგანმა დამზადებიდან დღემდე უამრავი ხმა „გაიგონა“, ესე იგი, მრავალჯერ განიცადა ბგერის ზემოქმედება. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სხვადასხვანაირ მიკროცვლილებებს განიცდიდა მისი კრისტალური სტრუქტურა. ჩვენ კი გვინდა, აღვადგინოთ ეს ბგერები. წინასწარ გეტყვით შედეგს. ცალკეული ხმების ნაცვლად მივიღებთ ერთმანეთზე დახვავებულ ბგერათა ერთობლიობას, ე. ი. ხმაურს, ფონს, რაღაცნაირ ხრიალს, საიდანაც ვერაფერს ვერ გამოარჩევ კაცი. რას ვიზამთ, ჯერჯერობით სხვას ვერაფერს ვახერხებთ... ასე რომ არ იყოს, მაშინ წინ დიდებული პერსპექტივები გადაგვეშლებოდა, ოღონდ ამაზე ცოტა მოგვიანებით გიამბობთ. ახლა კი ისევ ცდას მივმართოთ.

პროფესორმა რკინის ნაჭერი იზოლატორისაგან დამზადებულ მომჭერებში ჩაამაგრა და ტუმბლერი ჩართო. ხმამაღლა მოლაპარაკე დუმდა.

— თამაზ, რეგულატორს აუწიე.

წრის ხელმძღვანელმა ხმის რეგულატორს ბოლომდე აუწია. ხმამაღლა მოლაპარაკიდან სუსტი ხრიალი გაისმა.

— ხრიალი უნდა იყოს, ოღონდ რატომაა ასე სუსტი? — თავისთვის ჩაილაპარაკა გურამ მინდელმა. წუთით უხმოდ აკვირდებოდა დანადგარს. მერე მზერა ერთ წერტილზე შეაჩერა.

— აბა, ახალგაზრდავ, ცოტათი მოუჭირე ხრახნს, ალბათ კონტაქტია სუსტი... ნუ გეშინია, დენი არ დაგკრავს, — მიუბრუნდა პროფესორი ერთ-ერთ ბიჭს, რომელიც იმ ადგილთან ახლოს იდგა.

გია ფხოველიშვილმა შიშველი თითებით ღონივრად მოუჭირა კონტაქტს და... უცებ ო თ ა ხ ი გ უ ლ ი ს გ ა მ გ მ ი რ ა ვ მ ა ყ ვ ი რ ი ლ მ ა გ ა ა ყ რ უ ა.

3

ფიზიკის ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზში დასასრულს უახლოვდებოდა სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა.

— პირველად ვერც კი გავიგეთ, რა მოხდა, — განაგრძობდა პროფესორი გურამ მინდელი. — ყველა დაიბნა, ზოგს შეეშინდა კიდეც... მაგრამ მერე, როცა ყოველგვარი შემთხვევითობა გამოვრიცხეთ, დავრწმუნდით, რომ ყველაფერს სწორედ შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ, მის უდიდებულესობა შემთხვევას, რომლის წყალობითაც შესაძლო გახდა კიდევ ერთი ახალი ნაბიჯის გადადგმა.

— ნაბიჯის კი არა, აღმოჩენის! — გაისმა დარბაზიდან.

— მიხარია ამის გაგონება, თუმცა საქმე, რა თქმა უნდა, ტერმინში როდია, — განაგრძო პროფესორმა. — ახლა კი ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ამ, როგორც თქვენ თვითონ უწოდეთ, აღმოჩენის სრულუფლებიანი თანაავტორი, თბილისელი მოსწავლე, გია ფხოველიშვილი. მოდი, გია!



დამსწრეთა ტაშის გრიალში დარცხვენილი გია ტრიბუნაზე ავიდა და პროფესორის გვერდით დადგა.

— დიახ, როგორც უკვე მოგახსენეთ, მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ბგერათა იმ ზედახორიდან, რომლითაც დიდი დროის განმავლობაში ლითონი „დასხივდა", ცალკეული, ერთი რომელიმე მომენტის შესაფერი ხმა ამოგვერჩია, რასაც ამაოდ ვცდილობდით წლების განმავლობაში. სამეცნიერო საბჭოს წევრებმა უკვე იციან, როგორ მოხდა ეს. სტუმრების გასაგონად კი მოგახსენებთ, რომ როცა სადემონსტრაციო ცდას ვატარებდით პიონერთა სასახლიდან მოსული სტუმრებისათვის, თავს ნება მივეცი, ბავშვების დასაინტერესებლად ცოტათი გადამეხვია ექსპერიმენტის დადგენილი მეთოდიკიდან. თუმცა ვიცოდი, ეს ეფექტურ შედეგს არ მოგვცემდა და ამის შესახებ ვუთხარი კიდეც წინასწარ. ლაპარაკით თავი რომ არ შეგაწყინოთ, ავიღე ჩემი მეგობარი არქეოლოგის მიერ თბილისის გარეუბანში ნაპოვნი ჟანგიანი ხმლის ნატეხი და მისი „ალაპარაკება" მოვინდომე. რა გამოვიდა აქედან, თქვენ უკვე იცით. ყველაფერი კი გიას დამსახურებაა.

ისევ — ტაში.

— მაშინ, როცა გია ფხოველიშვილი ლითონის საგანს ეხებოდა, ხმამაღლა მოლაპარაკე ჟიუტად გამოსცემდა ერთსა და იმავე ხმას. ხმას კი არა, ყვირილს, რაღაც არაადამიანურ, ძარღვებგამყინავ ყვირილს. ხოლო როცა გია კონტაქტს ხელს აშორებდა, ხმამაღლა მოლაპარაკიდან მხოლოდ ჩვეულებრივი ხრიალი ისმოდა. აქედან დავასკვენით, რომ გამშიფრავი მოწყობილობა რაღაცნაირი ინდუქციური კავშირით ურთიერთმოქმედებდა ფხოველიშვილთან და ამის შედეგად იგი ახერხებდა ბგერათა ერთობლიობიდან ერთი გარკვეული ხმის გამოყოფას. მაგრამ როგორ ხდებოდა ეს? რატომ სხვა პირთან ურთიერთობისას ვერ ვაღწევდით ხმის გამოცალკევების ეფექტს? ჩვენ ხომ რიგ-რიგობით ყველამ მოვკიდეთ ხელი ხმლის ნაჭერს... არავითარი შედეგი! ბევრი ვიფიქრეთ ამაზე... ერთ მშვენიერ დღეს კი ისევ ჩემს მეგობარ არქეოლოგს შოთა ნადირაძეს ვუამბე ყველაფერი. მაჩვენე ის ნატეხიო, — მთხოვა. მივუტანე. ჩემდა სამარცხვინოდ, ეს დაჟანგული ლითონის ნატეხი ადრე წესიერად არც კი დამითვალიერებია. მერე კი, როცა შოთამ და მე იგი ჟანგისაგან გავწმინდეთ, გავფერეთ და გავაპრიალეთ, მკაფიოდ გამოჩნდა წარწერა: ერთ მხარეს „ბერდია", მეორე მხარეს კი — „ფხოვ", ალბათ „ფხოველი". ამის შემდეგ თითქოს ცა გაიხსნა ჩვენთვის: ძნელი არ იყო იმის დადგენა, რომ გია ფხოველიშვილის წინაპრები ამ ოთხმოციოდე წლის წინათ ჩამოსულან ქალაქს და მათი ძველი გვარი, ალბათ, „ფხოველია"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორმა გასუსულ დარბაზს მზერა მოავლო, წყალი მოსვა და განაგრძო:

— ასე მივედით იმ ვარაუდამდე, რომ ხმალში ჩაბეჭდილი უამრავი ბგერიდან ერთ-ერთის, ალბათ უძლიერესის გამოყოფა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ ცდის დროს საგანს ეხებოდა ამ ხმის ავტორის უშუალო შთამომავალი!

დარბაზი ახმაურდა, აქა-იქ გაკვირვების შეძახილები გაისმა.

— პერსპექტივები? — განაგრძობდა პროფესორი, — თუ ყველაფერი ეს ასეა, და ამაში უკვე ეჭვი არ მეპარება, მაშინ კაცობრიობას საშუალება მიეცემა „აალაპარაკოს" არქეოლოგთა მიერ ნაპოვნი ნივთები. ოდესმე შევძლებთ გავიგონოთ რუსთაველის, ჰომეროსის, პუშკინის ხმა... ოღონდ საჭიროა, რომ მათ ნაქონ ლითონის ნივთებთან ერთად ამ გენიოსების პირდაპირი შთამომავლებიც ვიპოვოთ... ძნელია, არა? მაგრამ მიზანიც ხომ სანუკვარია!

დარბაზი ტაშმა გააყრუა. პროფესორმა ხელი ასწია, დამსწრენი დააწყნარა და განაგრძო:

— ახლა კი ნება მიბოძეთ, მოგასმენინოთ კრწანისის ველზე ნაპოვნი ხმლის ნატეხიდან აღდგენილი ხმა, რომელიც ჩვენ მაგნიტოფონის ფირზე ჩავიწერეთ.

პროფესორმა გიასკენ გამოიხედა და ანიშნა. ფხოველიშვილმა მაგნიტოფონი ჩართო და...

ორასი წლის წინათ კრწანისის ბრძოლაში დაღუპულმა სამასმეერთე არაგველმა გიორგი ფხოველმა კიდევ **ერთხელ შეზღავლა დედა-საქართველოს:**

— ეჰეჰეეიი!!!



კაბლერი

# სასურველი სტუმარი

ყველა ბავშვს აქვს თავისი საყვარელი ზღაპარი, მოთხრობა, ლექსი. პირველი მოთხრობა, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, გახლდათ ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა". განსაკუთრებით დაძაბულად ვკითხულობდი იმ ადგილს, როცა ახირებული მენახშირე თავს დაესხა ობლებს და ლურჯას წართმევას უპირებდა, — ნუთუ წაართმევენ ლურჯას? ნუთუ მოხდება ასეთი უსამართლობა? მაგრამ აი, კიდევ რამდენიმე გვერდი და გამოჩნდა ქვესათაური — „ლურჯა დაუბრუნეს". ასე ამთავრებს ეკატერინე გაბაშვილი თავის მოთხრობას. როგორ მინდოდა მენახა თვითონ მწერალი ქალი. იგი კეთილ ფერიად მესახებოდა.

გავიდა წლები. როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას სრულიად შემთხვევით ვნახე ჩემი საყვარელი მწერალი. მაშინ რუსთაველის გამზირზე ასე არ დასრიალებდნენ ტროლეიბუსები და ავტობუსები. კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა ხუთი ნომერი ტრამვაი. ხოლო დილაობით ვაკეში, უნივერსიტეტისაკენ მიმავალი ტრამვაი აკიდოსავით იყო ხოლმე ახუნძლული. სტუდენტები ტრამვაის საფეხურებზეც კი იდგნენ. და აი. იმ დღეს რუსთაველის მოედანთან (მაშინ ამ ადგილს ზემელს ეძახდნენ) ტრამვაიში ხელმოუშველებლივ, მკვირცხლად ამოვიდა მოხუცი მანდილოსანი. მას ქათქათა თეთრი ხშირი თმა ჰქონდა. სახის ნაკვთები სწორი. თვალები შავი, ცოცხალი და გამჭრიახი. მოძრაობა მსუბუქი და მოხდენილი. წინა ადგილებიდან რამდენიმე მგზავრი წამოდგა: — აქეთ მობრძანდით, ქალბატონო ეკატერინე, — ეპატიჟებოდნენ მოხუცს. იგი ყველას მიესალმა და თავისი ნაცნობი ქალის გვერდით დაჯდა.

— ეკატერინე გაბაშვილი, — თქვა ვიღაცამ ჩემს უკან და ამ ორმა სიტყვამ სწრაფად მოიარა მთელი ტრამვაი.

— რამ შეგაწუხათ ასე ადრიანად? — ხმამაღლა შეეკითხა თანამგზავრი. ეტყობოდა, მოხუცს ყურთასმენა აკლდა, ამიტომაც ძალაუნებურად მათი საუბარი ყველას ესმოდა.

— იცით, რა საინტერესო ამბავი მაცნობეს? სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სამთვალა ხბო მოუყვანიათ, მინდა ვნახო, — თქვა მოხუცმა მწერალმა და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ განაგრძო: — თუ დაკვირვებიხართ, ალბათ შეამჩნევდით, ყველა ახლად შობილი თავისებურად იყურება. ბატკნები ისე შემოგცქერიან,



ეკატერინე გაბაშვილი

თითქოს რაღაცას გევედრებიანო; კაჭკაჭის ბარტყი კვერცხიდან თავს გამოყოფს თუ არა, მაშინვე მაცდურად აცეცებს თვალის კაკლებს; ხბოები კი, როგორც კი დაიბადებიან, ფეხზე დგებიან და ფართოდ ახელენ დიდრონ, ლამაზ თვალებს. საოცრად სუფთაა და უცოდველი მათი გამოხედვა. ნეტავი როგორ იყურება სამთვალა ხბო, ან როგორა აქვს სახეზე თვალები განლაგებული?

ასე ვნახე პირველად ეკატერინე გაბაშვილი. მაშინ, რა თქმა უნდა, ვერც მოვიფიქრებდი, რომ გავიდოდა წლები და მას სულ სხვა ვითარებაში შევხვდებოდი.

1936 წელს ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორად ვმუშაობდი. საბავშვო ჟურნალების „პიონერისა“ და „ოქტომბრელის“ (მაშინ ასეთი სახელწოდება ჰქონდა ჟურნალ „დილას“) რედაქციები მოთავსებული იყო გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში, სადაც ამჟამად საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმია. აქვე, მახლობლად, რუსთაველის ქუჩაზე ცხოვრობდა ეკატერინე გაბაშვილი. მას უყვარდა საბავშვო ჟურნალების რედაქციებში მოსვლა და საუბარი. იგი ჩვენი სასურველი სტუმარი იყო. უკვე ღრმად მოხუცებულს საოცარი ახალგაზრდული მისწრაფებები და სურვილები ჰქონდა, ყველაფერი აინტერესებდა, რაც კი ირგვლივ ხდებოდა, განსაკუთრებით კი, სოფლის ცხოვრება, სოფელში მიმდინარე ცვლილებები. სიხარულით სახე გაუნათდებოდა ხოლმე, როცა გაიგებდა, რომელიმე სოფელში ახალი სკოლა ან საავადმყოფო გახსნესო. მაშინვე იკითხავდა: — რამდენი ბავშვისთვის გახსენით სკოლა? ორკლასიანია თუ ოთხკლასიანიაო? — რამდენ ადგილიანია საავადმყოფოო? იმ დროისათვის კოლექტიური მეურნეობა უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო. მხცოვან მწერალს ძალიან აინტერესებდა საკოლმეურნეო ცხოვრება. ხშირად გვთხოვდა: — წამიყვანეთ მივლინებაში, ერთი მაჩვენეთ, გლეხებმა როგორ გააერთიანეს თავიანთი მიწები კოლმეურნეობაში, ერთი გოჯი მიწისთვის ერთმანეთს თავ-პირს რომ ამტვრევდნენო. ლიტერატურულ საკითხებსაც ასევე გულმხურვალედ ეხმაურებოდა. მახსოვს, იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებები რომ გამოვიდა, ქალბატონი ეკატერინე აღელვებული შემოვიდა რედაქციაში. ლოყები შეფაკლოდა, თვალებში მრისხანე ნაპერწკლები უელავდა.

— არა რცხვენია მანსვეტაშვილს, ილია ჭავჭავაძის შესახებ ასე უსაფუძვლოდ რომ წერს, როგორ შეიძლება ასეთი უკბილო ამბების მოგონება და გამომზეურება და მერე ისიც ვისზე, დიდ ილიაზე. მას ხომ მთელი საქართველო იცნობს?! მიკვირს, როგორ დაუსტამბეს, ან რედაქტორი რას ფიქრობდაო? ჩვენ ვთხოვდით, რომ მოეტანა ჩვენი ჟურნალისთვის რაიმე ჩანახატი ან მოთხრობა, მაგრამ იგი რედაქციაში ყოველთვის ხელცარიელი მოდიოდა.

— ვერაფერი მოგიტანეთ, — შემოსვლისთანავე მოიბოდიშებდა ხოლმე. ერთხელაც რომ შემოვიდა, ხელში ორად მოკეცილი ქაღალდები ეჭირა. ძალიან გაგვიხარდა. ვიფიქრეთ, ალბათ რამე დაგვიწერაო.

— აი, იგავები მოგიტანეთ, — გვითხრა ღიმილით, ლევ ტოლსტოის არქივიდან ვთარგმნეო. თან დასძინა: ტოლსტოის არქივში სამასზე მეტი პატარ-პატარა მოთხრობა, იგავი და ზღაპარი აღმოჩნდა, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელიაო. ჩვენ, რა თქმა უნდა, სიხარულით ჩამოვართვით ნობათი, მაგრამ მაინც შევახსენეთ:

— ქალბატონო ეკატერინე, თქვენი არქივიდანაც მოგვაწოდეთ რამე!

იგი მოხუცისათვის უჩვეულო სისწრაფით გასწორდა წელში, თავი ამაყად ასწია და გვითხრა: — მე თქვენ ლევ ტოლსტოის იგავები მოგიტანეთო!

1938 წელს ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა; საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში დამავალეს, რომ ახალგაზრდობის სახელით გამოსათხოვარი სიტყვა მეთქვა ბავშვების საყვარელ მწერლისათვის. აგვისტოს ცხელი დღე იყო. ცხედარს შვილიშვილები მოასვენებდნენ. მოხუცი მწერლის ნაჭაღ ხელებს მზე უხვად აფრქვევდა სხივებს, სახესაც რაღაც საოცარი ნათელი ადგა.

ახალგაზრდობა არ ივიწყებს ამაგდარ ადამიანებს. — ასე მთავრდებოდა ჩემი გამოსათხოვარი სიტყვა.

მარგო თომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №11

## შვიდი ნოემბერი

მოაქვთ ტრანსპარანტები,
საზეიმოს მღერიან;
რა ლამაზი დღე არის —
შვიდი ნოემბერია!

ბავშვებს ხელში გვიჭირავს
პაწაწინა ალმები,
დაგვყურებენ მაღლიდან
ჭადრები და ალვები.

წინ მიგვიძღვის სურათი
ჩვენი ძია ლენინის,
გვათბობს მისი ღიმილი,
შუქად გადაფენილი.

მოაბიჯებს ზღვა ხალხი,
საზეიმოს მღერიან.
რა ძვირფასი დღე არის —
შვიდი ნოემბერია!

თეა სადაღაშვილი
თბილისი, 120-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

## კვირტის ღიმილი

ბებერი მუხის ამბავი იმ არემარეში ყველამ იცოდა. გულიანად ვერავინ გაიხარა მისი ცოდვით. ამ უბედურების მიზეზი ბებერი მუხის ერთადერთი კვირტის სიჯიუტე გახლდათ. განა რა დიდი საქმე იყო ერთი გაღიმება, მაგრამ... ამ კოპებშეკრული კვირტის შემყურეს, ყველას ავიწყდებოდა ღიმილის არსებობა. საბრალო ბებერი მუხა ძლივს სიბერეში შვილს მოესწრო და ისიც ასეთი უჟმური გამოუვიდა! მუდამ წარბშეკრული შეჰყურებდა მუხას, თითქოს მშობელი კი არა, მტერი ყოფილიყოს მისი.

ადრიანი გაზაფხულის ერთ თბილ და მზიან დილას სასოწარკვეთილმა ბებერმა მუხამ ჩიტები მოიხმო, ეგებ მათმა სიმღერამ მიხსნას გაჭირვებისაგან და კვირტმა პირი გახსნასო. კვირტი ოდნავ გაფითრებული უსმენდა ჩიტების გალობას. მერე უფრო უკმეხად შეიკრა კოპები, პირიც უფრო მაგრად მოკუმა.

მაგრამ აი, გაზაფხულის ქალღმერთმა იმძლავრა და მოხდა სასწაული — კვირტმა გაიღიმა... ჩიტებმა შვებით ამოისუნთქეს. „გაზაფხულის მოლოდინში ყოფილაო“, — თქვეს ღიმილით.

დიდებული სანახავი იყო ბებერი მუხის გაღიმებული კვირტი: ნიადაგ შეკრული კოპები გახსნოდა, ენდროსფერი ბაგე ორად გაპობოდა, ყელი მოეღერებინა, თეთრი სიფრიფანა წამწამები ზემოთ აეზიდა და იქიდან შავი, მოელვარე თვალები მოუჩანდა; ისინი უდიდესი მადლიერების გრძნობით მიეპყრო მშობლისთვის და თავისი უსაქციელობის გამო მოკრძალებით უხდიდა ბოდიშს.

თინა დანელოვი,
თბილისი, 130-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

## მიხმობენ წკრიალა ზარები

პირველი სექტემბრის დილაა,
ცა თითქოს დღეს სულ სხვა ფერია;
მიხმობენ ზარები წკრიალა —
მელიან, სკოლაში მელიან.
მიცინის, მზე ტკბილად მიცინის,
გზა-გზა ჩიტუნები მღერიან.
მივდივარ... მივდივარ კი არა,
მივფრინავ — სკოლაში მელიან!

ნინო ცაგარელი,
ბათუმი, მე-6 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## [illegible]

ტყემლის ყვავილივით გათეთრდი,
მოწყვეტილ ვარდივით დაჭკნი...
ჩვენი ოჯახის იმედო,
თმას სიყვარულით გვარცხნი.
რად აღარა გაქვს ხალისი?
რად შემოგძალვია სევდა?
მჯერა, რომ კარგად გახდები,
ჩემო უძლურო დედა...

მაია ოჩიგავა,
თბილისი, 167-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.



ვახტანგ ბუგუშვილი, ქობულეთი, მე-7 საშ. სკოლა, IV კლასი.



# ფრანც კარლ ახარდი

(1753—1821 წ. წ. გერმანელი ქიმიკოსი და ტექნოლოგი, ჭარხლის შაქრის წარმოების დამფუძნებელი).

**ვილჰელმ შტრუბე**

მხატვარი თ. ფხიკიძე

## 1. ხანძარი

შლესიის სოფელ კუნერნში ზარების რეკვა ატყდა. ლოგინიდან წამომხტარი დიდი თუ პატარა დაფეთებული იცვამდა და გარეთ გამორბოდა. სოფლის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ცა წითლად ვარვარებდა. ხანძრის ადგილას ცეცხლი ბოლქვებად ტრიალებდა და იქაურობას ანათებდა.

— იწვის, იწვის! ახარდის ქარხანა იწვის!

ვედროებითა და ნაჯახებით ხელში გარბოდნენ სოფლელები უბედურების ადგილისაკენ. ძაღლები ყეფდნენ და აუწყვეტად იწევდნენ. საქონელი ბღაოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. კატებიც კუთხეებში შემძვრალიყვნენ და განაბულიყვნენ.

— წყალი, წყალი! წყალი მოიტანეთ! — ყვიროდა მეხანძრეთა უფროსი. წყალი არ ყოფნიდათ. ცეცხლი მხოლოდ შიშხინებდა და ისევ მთელი ძალით ეტყორცნებოდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას.

ქარხნის ყველა ფანჯრიდან ცეცხლის ენები ილოკებოდა. უკვე ვეღარავინ ბედავდა შენობასთან ახლოს მისვლას, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მისი მთლიანი ჩანგრევა.

— ქარხანას აღარაფერი ეშველება, — გადაულაპარაკა ერთმა სოფლელმა მეორეს. — ახლა იმას უნდა ვეცადოთ, სახლებსა და საბძლებზე არ გადავიდეს ცეცხლი.

გაისმა ყრუ გუგუნის ხმა.

— უკან დაიხიეთ, უკან! — ყვიროდნენ მეხანძრეები.

— მადამ ახარდ! შეჩერდით! — შესძახა მეხანძრეთა უფროსმა და მკლავში ჩაებღაუჭა ქალს, რომელიც ცდილობდა წყლით სავსე ვედროთი შენობას მიახლოებოდა; მერე ხელიდან ვედრო გამოგლიჯა და უკან გამოათრია. — ვეღარაფერს უშველით. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა!

ფრაუ ახარდმა პასუხი არ გასცა. იგი მდუმარედ მიაჩერდა აბობოქრებულ ხანძარს, საიდანაც ამ დროს სანთლის მაგვარი უზარმაზარი ალი ამოდიოდა. ამას მოჰყვა ძელის ტკაცუნის ხმა. გარშემო ბული დატრიალდა. სოფლელები მიმოიფანტნენ.

— სხვენს გახედეთ!

— წყალი შეამზადეთ!

ხანძრის მძვინვარებას შეუერთდა ყვირილის, კივილის, წყევლა-კრულვის ხმა, რომელსაც ეკლესიის ზარების რეკვა ემატებოდა.

— წამობრძანდით, მადამ, თქვენი სახლი გადავარჩინოთ. ქარხანას ვეღარ ვუშველით.

გაქვავებული იდგა პატარა, ნაზი არსება. ძალაგამოლეული იყო წყლის ზიდვის, მღელვარების, შიშისა და სასოწარკვეთილებისაგან. სახე ალეწოდა. არა, აქ უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. ცეცხლი დაპატრონებოდა ყველაფერს. ერთ საათში განადგურდა სამი წლის ნაშრომი. ნუთუ ამით დამთავრდა ყველაფერი?

აგერ უკვე თხუთმეტი წელია, რაც მისი ქმარი ჭარხლისაგან შაქრის მიღებაზე მუშაობდა. დაუსრულებლად ატარებდა ცდებს ლაბორატორიაში. წლების მანძილზე ილვწოდა შაქრით მდიდარი ჭარხლის ჯიშის

გამოსაყვანად. აპარატებიც ააგო და გადააკეთა. ამას დაუმატეთ დაცინვა და მასხრად აგდება, კრედიტორების შემოტევა, ხვეწნა-მუდარა — ყველაფერმა ფუჭად ჩაიარა.

ორ წელს იმუშავა ქარხანამ. 1803 წელს ახარდმა 40 ტონა ჭარხლიდან 16 ტონა საქაროზა მიიღო. ქარხნის აღჭურვილობა გაზარდა და ახლა მოსავლის შესამოწმებლად იყო წასული — ამ სეზონში სამჯერ მეტი ჭარხალი უნდა გადაემუშავებინათ.

„უნდა გადაემუშავებინათ... ნაცრის გროვაღა დახვდება, რომლითაც ვერც ერთ კრედიტორს ვერ გაუსწორდება!

რა გველის!..“

## 2. ღუმელთან

ამ დროს კარლ ახარდი მიწის ინსპექტორ ფრიდრიხ ზანემანის მაგიდასთან იჯდა რბილ სავარძელში. ღუმლიდან სასიამოვნო სითბო გამოდიოდა. ზანემანმა ამ დღის აღსანიშნავად საზეიმოდ აანთო ექვსი სანთელი და უკვე მეორე ბოთლი ღვინო გამოცალა. მაგიდაზე გროვად ეყარა ჭარხალი. საუბარი მოთავებული ჰქონდათ და ჩამოვარდნილ სიჩუმეში კმაყოფილებას ჰგვრიდათ ნაკვერცხლების გუზგუზი.

— უსათუოდ დღეს უნდა დაბრუნდეთ? დიდ პატივს დამდებთ, თუკი ღამეს ჩემს ჭერქვეშ გაატარებთ.

— ძვირფასო ზანემან, საკმაოდ დაღლილი ვარ, მაგრამ თვალს მაინც ვერ მოვხუჭავ. ვიცი ჩემი ამბავი. ცოტას გამოვცდები თუ არა ჩემი ქარხნის მიდამოებს, მაშინვე მთელი ძალით ისევ უკან მეწევა რაღაც. სასაცილოა, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია. შვილივით ვუვლი ქარხანას. თუმცა ამას თავი დავანებოთ ყოველ შემთხვევაში, მე თქვენი ჭარხლით კმაყოფილი ვარ. რა თქმა უნდა, ამას დასაწყისისთვის ვამბობ.

— დასაწყისს უწოდებთ ამას, ბატონო პროფესორო, როცა შაქრის შემადგენლობა ექვსი-რვა პროცენტია?!

— რა თქმა უნდა, ეს ორჯერ მეტია იმაზე, რასაც ჩვენ 1786 წელს კარლდორფში, ბერლინთან ახლოს მივაღწიეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ ისეთი ჭარხლის გამოყვანას, რომლის შაქრიანობა ათი და უფრო მეტი პროცენტი იქნება. ესეც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა. რაც უფრო მეტი იქნება შაქრის შემადგენლობა, მით უკეთ გამოვიყვანთ მას ჭარხლიდან, მით უფრო რენტაბელური იქნება ჩვენი მუშაობაც. ეს საჭიროა. ჩვენ ჭარხლის შაქარი იმ ფასად უნდა მივიღოთ, რა ფასადაც ოკეანის გადაღმა ლერწმის შაქარს ღებულობენ. შაქრის ჭარხლის ფასი უნდა გაუთანაბრდეს ლერწმის შაქრის ფასს.

— ჭარხლის შაქარი უფრო ძვირიც რომ დაჯდეს, ბატონო პროფესორო, მაინც დაზოგავს სახელმწიფო ვალუტას, — ჩამოართვა სიტყვა ინსპექტორმა.

— გეთანხმებით, სრული ჭეშმარიტებაა — სიცილით მიუგო ახარდმა. — სწორედ ამ სიტყვებით გამოვტყუე ცოტაოდენი ფული სამეფო ხაზინას საქმის დასაწყებად. უამისოდ რა იქნებოდა?! ბერლინში ძალიან კმაყოფილები არიან. ჭარხლის შაქარი არა ნაკლებ გემრიელად მიაჩნიათ იმპორტულ შაქარზე. ასეც უნდა იყოს. ქიმიური შემადგენლობით ისინი ხომ ერთნი არიან. მაგრამ, ჩემო ძვირფასო ზანემან, — წამოდგა ფეხზე ახარდი, — თუ ჩვენ კონკურენციას ვაპირებთ — და უნდა გავწიოთ კიდეც! — მაშინ უნდა განვაგრძოთ ჭარხლის ჯიშის გამოყვანა და შაქრის წარმოების გაუმჯობესება! მესტუმრეთ მოკლე ხანში და თვითონ დარწმუნდებით, როგორ გავზარდე ჩემი ქარხანა. ჩვენ უკვე გვაქვს შესაძლებლობა, დავძლიოთ სამჯერ მეტი რაოდენობის პროდუქცია. ექსპლოატაციაც წინა წლებთან შედარებით მაღალია. ზოგიერთი რამ გავაუმჯობესეთ. ჩვენ გავწმინდეთ შაქრის წვენი ძვლის ნახშირით და მოვაცილეთ უცხო მინარევები. თან ცოდნასაც ვიღრმავებთ. კიდევ მოგიხდებათ ამაზე ტკბილი შაქრის ჭარხლის მოშენება!

— ჩემი იმედი გქონდეთ, პროფესორო! ჭარხლის გადმოზიდვას რომ მოვრჩები, უკანასკნელ ტრანსპორტს გამოვყვები კუნერნში.

— მაშინ შევსვათ კარგი მოსავლის სადღეგრძელო!

— და თქვენი შაქრის ქარხნის გაძლიერების სადღეგრძელო!

## 3. მარგრაფის ანდერძი

ახარდი თბილად გაეხვია ქურქში და თავის ორცხენიანი ეტლის ბალიშებს მძიმედ მიეყრდნო. ცხენები ჩორთით მიდიოდნენ, იცოდნენ სახლის გზა. ახარდმა დაძინება სცადა, მაგრამ ფიქრები არ ასვენებდა. სიცოცხლის მიზანი ასრულებულად ეხატებოდა. მუშაობის მწარე, მაგრამ მაინც ბედნიერი წლები უკან იყო მოტოვებული. მას ორმოცდათერთმეტი წელი შეუსრულდა. ჭაღარამ შეცვალა მისი შავი თმა. შვილებიც წამოიზარდნენ, მაგრამ თავი ისევ იმ სიცოცხლით სავსე ჭაბუკად მიაჩნდა, რომელსაც 1776 წელს ბედნიერება ჰქონდა ემუშავა დიდი ქიმიკოსის, ანდრეას სიგიზმუნდ მარგრაფის ლაბორატორიაში ასისტენტად.

ახარდს ახლაც გარკვევით ესმოდა თავისი ჭაღარა მასწავლებლის დინჯი ხმა:

— ყმაწვილო, აქედან, რასაც შენ სწავლობ, არ დაივიწყო ჩემი ცდები ჭარხლიდან შაქრის მიღებაზე. შაქარი ძვირფასია. იგი ჯერ კიდევ ფუფუნებად ითვლება. მისი ტრანსპორტირება დიდი ფული ღირს, ამიტომ შაქრის ფაბრიკანტებს და ვაჭრებს ტკბილი ოქრო ძვირად უჯდებათ. მაგრამ თუკი ჩვენ შაქარს საკუთარ ქვეყანაში ვაწარმოებთ, მაშინ ხალხსაც შეეძლება პირი ჩაიტკბარუნოს. ფუფუნების პროდუქტი კვების პროდუქტად იქცევა.

1782 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, როცა ლაბორატორიის ასისტენტი უკვე პრო-

ფესორად იყო წოდებული და პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კლასის დირექტორის ადგილი ეკავა, უფროსმა მეგობარმა ერთხელ კიდევ გაუმეორა:

— არ დაივიწყო შაქარი! ყველაზე მეტი, რისი მიღწევაც მეცნიერებს შეუძლიათ, ის არის, რომ ადამიანების ცხოვრება გააუმჯობესონ.

მარგრაფის ანდერძის შესრულება მან მაშინვე დაიწყო, მაგრამ ბედნიერი აღმოჩენიდან მის ტექნიკურ შესრულებამდე გრძელი გზა იყო გასავლელი. ჩვეულებრივ ჭარხალში გაცილებით ნაკლები იყო შაქრის შემადგენლობა, და ნედლეულიდან იგი იმდენად მცირე მზა პროდუქტს იძლეოდა, რომ კონკურენციას ვერ გაუწევდა ლერწამს. ამრიგად, ჯერ კიდევ საჭირო იყო იმის შემოწმება, რამდენად იყო შესაძლებელი ჭარხლის შაქრიანობის მომატება — ამას ხანგრძლივი შრომა სჭირდებოდა, რომლის დროსაც ბევრი რამ იყო მხედველობაში მისაღები: ჭარხლის მოშენების შედეგები, შესაბამისი ნიადაგი, საჭირო სასუქი და მოსავლის აღების წესი.

მიწათმოქმედ პროფესორს ბევრი მასხრად იგდებდა. რა კავშირი აქვს მის სამუშაოებს მეცნიერებასთანო? — ამბობდნენ და ცხვირს მაღლა სწევდნენ. ამ სამუშაოებში იმ ჭარხალსაც გულისხმობდნენ, რომლის შაქრიანობა სამი პროცენტით იყო გაზრდილი. ახარდსაც თავმოყვარეობა ჰქონდა და ამიტომ მეორე ამოცანის შესრულებას მიჰყო ხელი, — შექმნა ჭარხლის სახეხი და საწური მანქანა, ააგო აპარატი, ქვაბი, რეზერვუარისა და მილსადენების მთელი სისტემა, განავითარა ჭარხლის წვენის გაწმენდის ტექნოლოგია გოგირდმჟავას და კირის მეშვეობით. იკვლევდა საქაროზას გამჭვირვალობის, სედიმენტაციის (დალექვის), კრისტალიზაციისა და გაწმენდის ტექნოლოგიას.

ახარდი მდიდარი არ იყო, მას არ შეეძლო ქარხნის დაფინანსება და პრუსიის მეფის, ფრიდრიხ III-ის სამინისტროს სთხოვა დახმარება. არ უნდოდა, მისი ტექნოლოგია კერძო პირებს ჩავარდნოდათ ხელში და გამოეყენებინათ, სახელმწიფო წარმოების სახით კი მას შეეძლო ყველა ადამიანისთვის სიკეთე მოეტანა. მეფემ გამოჰყო კომისია ახარდის ტექნოლოგიის განსახილველად. დასკვნა დადებითი აღმოჩნდა. შეჰპირდნენ სახსრების გამოყოფას და ახარდიც შეუდგა ქარხნის მშენებლობას.

თავისი პატარა ქონებაც თან მიაყოლა, რადგან დანაპირები ფული არ ჩანდა. 1799 წლის 2 დეკემბერს ქარხანა მზად იყო.

ახარდი წერდა: „თქვენი უდიდებულესობის გადაწყვეტილებამ — უმოწყალესად გაღებულ იქნას ჩემზე შეპირებული თანხა, მე და ჩემი საბრალო შვილები, აგრეთვე ბევრი ჩემი ახლობელიც უდიდეს სიდუხჭირეში ჩაგვაგდო. არ შემწევს ძალა დავფარო ამ წლის სასწავლო წარმოებისათვის შეძენილი ჭარხლის ფასი, რითაც საფრთხე შევუქმენი ჩემს თავისუფლებას. გაჭირვებით ვისტუმრებ ჭარხლის მომტან მენავეებს და იძულებული ვარ, ავიტანო მათთან დამამცირებელი ვაჭრობა. მომავალი სავალალოა ჩემთვის. დიდი გამძლეობა მმართებს, რომ უშფოთველად წარმოვიდგინო მისი ტრაგიკული შედეგები, მით უმეტეს, რომ ეჭვგარეშეა ის, რაც კომისიის შემოწმებამ ცხადყო: ჩვეულებრივი ჭარხლისაგან შეიძლება კარგი, მაგარი შაქრის მიღება“. ისევ შეჰპირდნენ დახმარებას და ისევ გაისმა მისი ღაღადი: „თქვენო უდიდებულესობავ, ნუ დამადანაშაულებთ, თუკი შაქრის წარმოებაში ავანსი აღარ დაგვჭირდება, რადგან ეს საქმე მე იმდენ ჯანმრთელობად მიღირს, რომ მასზე ხელს ვერ ჩავიქნევ, დავკმაყოფილდები მხოლოდ უცხოეთში მიღწეული წარმატებებით“.

ბოლოს, როგორც იქნა, მან შეპირებული თანხის მინიმუმი მიიღო, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. ახარდმა განაგრძო ქარხნის მშენებლობა, მაგრამ 1801 წელს იძულებული გახდა, აკადემიიდან მიღებული ხელფასით დაეკმაყოფილებინა კრედიტორები.

იყო წუთები, როცა ახარდს ძალა ეცლებოდა.

— შენ შეგიძლია მშვიდად და პატივში იცხოვრო, იყო ბერლინში და მოწინავე მეცნიერთა შორის ითვლებოდე. ერთ-ერთი ასეთი წამყვანი მეცნიერი შენცა ხარ. აქ, სოფელში კი მივიწყებული ხარ და მიკარგული. მოეშვი შაქარს, დაანებე, ვისაც უნდა, იმან აკეთოს! — ასე ურჩევდა ერთი მეგობარი. — შენ ოჯახი გაალატაკე. ძლიერთა ამა ქვეყნისა, იქ, მაღლა, შეუძლიათ მხოლოდ შედეგით დასტკბნენ, მაგრამ წარმოდგენაც არა აქვთ, რა ტანჯვა-წვალებისა და მსხვერპლის შედეგია ეს სიტკბოება.

ეს ასე იყო, მაგრამ ახარდი ხალხზე ფიქრობდა, ხალხისთვის მას საკვების ახალი წყარო უნდა აღმოეჩინა.

პროდუქციის გაიაფების მიზნით ახარდი ეძებდა ნარჩენების გამოყენების საშუალებას. ახალი და დამჟავებული ჭარხლის ფოთლები ნოყიერი საკვები იყო საქონლისათვის, ხოლო ბადაგისაგან არყის გამოხდა შეიძლებოდა.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ ახარდი და 1800 წელს გამოაქვეყნა კიდეც შრომა: „ჩვეულებრივი ჭარხლიდან საქაროზასა და ნედლი სიროფის დამზადების, აგრეთვე საქაროზასა და ნედლი სიროფის წარმოებისას გამოყოფილი ნარჩენებისაგან არყის გამოყვანის სახელმძღვანელო“.

აღარ გაისმოდა დაცინვის ხმები.

ჩვიდმეტმა სამეცნიერო საზოგადოებამ, მათ შორის სტოკჰოლმის, უპსალას, მანტუის, ტურინისა და ორლეანის მეცნიერებათა აკადემიებმა იგი წევრად აირჩიეს.

ახარდს სჯეროდა, რომ უკვე ამ სეზონის შემდეგ უკანასკნელი ურწმუნონიც მიჩუმდებოდნენ...

ეტლი ერთბაშად შეჩერდა. ახარდი წინ გადაიხარა და გაოცებით გამოიხედა.

— ბატონო ჩემო! — დაუძახა მეეტლემ, — სუნი არა გცემთ?

— რა სუნი უნდა მცემდეს, ჰერ-

მან, თავით ფეხებამდე ქურქში ვარ გახვეული! რას შემაშინე? უკვე ბურანში ვიყავი და ვიძინებდი.

— დამწვრის სუნია, ბატონო ჩემო! სწორედ კუნერნის მხრიდან მოდის. რამე ხომ არ მოხდა.

— მაშინ წადი. ტყით იარე და ვნახოთ, რაშია საქმე! — მოუთმენლად შესძახა ახარდმა.

ფიქრისა და ძილის დრო აღარ იყო. ეტლი გააქანეს და ისიც ოღროჩოღრო გზაზე ქარიშხალში მოხვედრილი ხომალდივით ქანაობდა. ტყის პირს გამოვიდნენ თუ არა, დაინახეს კუნერნზე წითლად მოვარვარე ცა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ახარდმა უკვე იცოდა, რა იწვოდა.

## 4. ისევ თავიდან

მრავალი წლის იმედები ნაცარტუტად იქცა. მთელი ანგარიშები და გეგმები ჰაერში გაეფანტა.

ბერლინში მის თხოვნას ყურს არავინ უგდებდა. ბატონებს სხვა სადარდებელი ჰქონდათ: ნაპოლეონი ომით ემუქრებოდა პრუსიას.

ახარდი ისევ სიდუხჭირეში ჩავარდა. მისი ოჯახი ცარიელ წყალზედა იჯდა.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ კაცმა, რომელსაც სახის რბილი ნაკვთები და პოეტივით მეოცნებე თვალები ჰქონდა, კიდევ მონახა ძალები საქმის გასაგრძელებლად. რისი გამოტანაც შეიძლებოდა ნანგრევებიდან, გამოიტანა, რისი აღდგენაც შეიძლებოდა, აღადგინა.

კუნერნელ მჭედელს თხოვნა არ დასჭირვებია, ისე ეხმარებოდა. ოსტატი, რომლის თვალწინ აფეთქდა არყის სახდელი ქვაბი, უსასყიდლოდ განაგრძობდა მუშაობას. დანარჩენმა მუშებმა საარსებო წყარო მიწის სამუშაოებში ნახეს და პროფესორთან და მის ცოლთან დასახმარებლად მიდიოდნენ.

დადგა 1806 წელი. ნაპოლეონის არმია პრუსიის წინააღმდეგ დაიძრა, იენასთან და აუერშტეტთან შეხვდა მის ჯარს, დაამარცხა და დაიპყრო ქვეყანა. ბერლინში ნაპოლეონმა კონტინენტური ბლოკადის დეკრეტი გამოსცა — აკრძალული იქნა ყოველგვარი ვაჭრობა ინგლისთან.

ინგლისმა ბრძოლაში გამოწვევას ნაპოლეონის ხომალდების შეპყრობით უპასუხა, რასაც მოჰყვა კონტინენტზე ოკეანის გადაღმიდან საქონლის შემოზიდვის შეზღუდვა. ეს საქონელი იყო ყავა, ჩაი, კაკაო, ძვირფასი ხე, სანელებლები, შაქარი.

სწორედ ამ დროს გაახსენდათ ახარდის სამუშაოები. ამასობაში ახარდმა ქარხანა აამოქმედა და თავის მუყაით თანაშემწეებს ხელფასსაც უხდიდა.



## 5. სიმართლით მოვაჭრე

ფრანგებიც დაინტერესდნენ ახარდის მოღვაწეობით და ისიც კეთილსინდისიერად აცნობდა მათ ჩვეულებრივი ჭარხლისაგან შაქრის მიღებას, ნარჩენებისაგან კი არყის, რომის, ძმრის და ყავის შემცვლელის დამზადების წესს.

ახარდის წარმოებით დაინტერესებული იყვნენ კონტრაბანდისტებიც, რომლებსაც ნისლსა და ღამეში მალულად გადაჰქონდათ შაქარი საზღვარზე. დაინტერესებული იყვნენ გადამყიდველებიც, რომლებსაც ერთი გირვანქა შაქრის ფასი რვა გროშიდან ოთხ მარკამდე აჰყავდათ. ახარდის წარმოება კი სახიფათოდ ემუქრებოდა მათ საქმიანობას.

ერთ დღეს ახარდთან მსხვილი სპეკულანტების შუამავალი გამოცხადდა.

— დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო, — ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი შუამავალმა, — თქვენს მოღვაწეობას წლების მანძილზე გაოცებაში მოვყავართ. ისინი, ვისი სახელითაც მე ვლაპარაკობ, ფრიად გავლენიანი და შეძლებული ხალხია. გაოცებულნი არიან თქვენი კეთილშობილებით, დიდად აფასებენ თქვენს მეცნიერულ გამოკვლევებს და კარგა ხანია თვლიან, რომ თქვენი მოქმედება არ არის მართებული. თქვენ მთელი თქვენი შეძლება მოანდომეთ იმ საქმეს, რომლის დაფინანსება სახელმწიფომ ითავა. თქვენმა ცდებმა ცხადყო, რომ ჭარხლისაგან მიღებულ პროდუქციას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს შაქრის ლერწმისას. რა თქმა უნდა, დღევანდელი ბაზრის პირობებში შეიძლება გარკვეული მოგება ნახოთ, მაგრამ როგორც კი საზღვრები გაიხსნება, ბატონო პროფესორო, ისევ ზარალში ჩავარდებით.

— მე არ მესმის, რისი თქმა გსურთ, ბატონო პიენდოკ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს მხოლოდ

დასაწყისია. მოვა დრო, როცა ჭარხალი კონკურენციას გაუწევს შაქრის ლერწამს.

— გამომგონებლის ოპტიმიზმს ვერ შეედავები. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდით. ახლა კი ისეთ ასაკში ხართ, როცა ადამიანი მშვიდ, უზრუნველ ცხოვრების დასასრულზე ფიქრობს და, თუ ვინმემ დაიმსახურა ეს, ისევ თქვენ, ბატონო პროფესორო. იმათ, ვინც ჩემს უკან დგანან და ვისი დავალებითაც მე მოგმართავთ, იციან, რომ თქვენ მეცნიერულ მუშაობას ყველაფერზე მაღლა აყენებთ. თქვენ გთავაზობენ ამის შესაძლებლობას და მზად არიან გადმოგცენ 50 000 ტალერი. ფული შეგიძლიათ, როცა გნებავთ, მაშინ მიიღოთ. ამის შესახებ არავის არაფერი ეცოდინება. მხოლოდ ერთი თხოვნა გვექნება: გამოქვეყნებულ მასალებში კრიტიკულად შეაფასეთ თქვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგები და აღნიშნეთ, რომ შაქრის პროდუქციის მიღება ჭარხლიდან შესაძლებელია, მაგრამ არც იმდენად ეფექტიანია, რომ კონკურენცია გაუწიოს შაქრის ლერწამს.

— ბატონო ჩემო, თქვენ არ გესმით, რას მთხოვთ. გარწმუნებთ, სულ საწინააღმდეგოდ არის საქმე.

— შესაძლოა. არავინ გედავებათ, მაგრამ აქ ლაპარაკი გვაქვს ურთიერთსამსახურის გაწევაზე.

— ურთიერთსამსახურის გაწევაზე? მაშინ რატომ გსურთ ხელი შემიშალოთ ჩემს საქმიანობაში? სიმართლის უარყოფას — აი, რას მთხოვთ თქვენ!

— ნება მიბოძეთ, ბატონო ახარდ, 100 000 ტალერი შემოგთავაზოთ.

— 100 000 ტალერი? — ახარდმა თავის თანამოსაუბრეს თვალი თვალში გაუყარა. — თქვენ იცით, რისთვის ვმუშაობდი წლების მანძილზე? იმისთვის, რომ ადამიანებს ხელთ ჰქონოდათ საკვები, შაქარი, აქ — ამ ქვეყანაში დამზადებული. ჩემი ქარხანა სასწავლო საწარმოა, ნიმუშია, რომელსაც ყველა მიბაძავს. ჩემი გამოცდილება ყველას ეკუთვნის. მეცნიერება ადამიანებს უნდა ემსახურებოდეს და არა საქმოსნებს.

— დამშვიდდით, ბატონო პროფესორო, ჩვენ ეგ ვიცით, მაგრამ თქვენც უნდა გაუგოთ იმათ, ვისაც ოკეანის გადაღმიდან შაქარი შემოაქვთ. ჩვენ შეგვწევს ძალა, საკმაო შაქარი შემოვზიდოთ, რატომ წუხდებით? მადლობას მოგახსენებთ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და შესაძლებლობას გაძლევთ იცხოვროთ უზრუნველად. ახლა კი ნება მომეცით, შემოგთავაზოთ 200 000 ტალერი. თუ...

— ...თუ მე ახლავე არ მოვითხოვე, დაუყოვნებლივ დატოვოთ ჩემი სახლი! თქვენს დამქაშებს კი მოახსენეთ, რომ შიმშილი მირჩევნია მაგათი ბინძური ფულის აღებას. პატიოსანი კაცი ბილწ არამზადად რომ აქციოთ, ამისათვის 200 000 ტალერი არ გებევრებათ, მაშინ, როცა საერთო საქმის კეთილდღეობისათვის ერთ პფენინგსაც არ გაიმეტებთ. გადით აქედან! მეცნიერება სიმართლეს ემსახურება და არა სიცრუეს!

ჰერ პიენდოკი ფაცაფუცით გაძვრა ოთახიდან. ქარხნის ეზოში ხვნეშით მიმავალს, ზურგიდან სიცილის ხმა მოესმა. პროფესორის მოუსყიდავ თანამშრომლებს მათი საუბარი კანტორის თხელი კედლის მიღმა მოესმინათ.

ახარდის ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამდენი ტანჯვა-წამებისა და მსხვერპლის ფასად გაყვანილი ბილიკი ჯერ ნელა, შემდეგ კი სწრაფად ფართო და საიმედო გზად იქცა.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, 1821 წლამდე, ფრანც კარლ ახარდი მოესწრო შაქრის ქარხნების აგებას გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და რუსეთში. 1830 წელს საფრანგეთში უკვე მოქმედებდა ოცდაათი შაქრის ქარხანა. რაც უფრო მეტი ადამიანი იყო დაკავებული ამ საქმიანობით და რაც უფრო წინ მიიწევდა მეცნიერება და ტექნიკა, მით უფრო უმჯობესდებოდა ტექნოლოგია. ისწავლეს ჭარხლის ბურბუშელას უკეთ დათუთქვა, შაქრის წვენის სრული გაწმენდა და საბოლოოდ შაქრის კრისტალების მიღება; შემდეგ — შაქრის რაფინირების ქარხანაში მისი კვლავ გახსნა და ისევ აორთქლება; დასასრულს, ყოველივე ამის შემდეგ ქათქათა თეთრი შაქრის მიღება.

1875-1876 წლებში მთელ ევროპაში სულ მიიღეს 1 530 000 ტონა ჭარხლის შაქარი.

1901-1902 წელს მთელ მსოფლიოში დამზადდა 6 360 000 ტონა ჭარხლის შაქარი და 6 079 000 ტონა ლერწმის შაქარი.

1950 და 1952 წლებში შეფარდება ასეთი იყო: 20 370 000 ტონა ჭარხლის შაქარი და 15 750 000 ტონა ლერწმის შაქარი.

შაქარ-დელიკატესი უმნიშვნელოვანეს საკვებ ნივთიერებად იქცა.



გერმანულიდან თარგმნა
მედეა კოდუაზ

ეს ორი წერილი, რომელთაც ქვემოთ ვბეჭდავთ, ჯერ კიდევ სექტემბერში მივიღეთ. ორივეს თემა საგულისხმოდ მივიჩნიეთ და გადავწყვიტეთ წერილების შინაარსი თქვენთვის გაგვეცნო.

## ერთმანეთის გამოცდილება გავუზიაროთ

წლეულს განათლების მუშაკთა ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში ვისვენებდი. ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ბანაკში, მაგრამ მე ყველაზე მეტად ერთი მათგანი მომეწონა.

ეს ასე იყო: თითოეული რაზმის მიერ გამოგზავნილმა დელეგაციამ „მრგვალი მაგიდის" ირგვლივ გამართული საუბრის დროს თავისი ცოცხალი გაზეთი წარმოადგინა, რომლის საშუალებითაც საინტერესო პიონერულ საქმეებზე მოგვითხრო.

ტყიბულელმა თამრიკო კურტანიძემ რაზმის შრომით საქმიანობაზე გვიამბო.

ფოთელმა კახა შენგელიამ რაზმეულის საშეფო ეზოებში ჩატარებული მუშაობა გაგვაცნო. კახა და მისი ამხანაგები ყურადღებას აქცევენ სადარბაზოების სისუფთავეს, ეზოში მცხოვრები ბავშვების მონაწილეობით შაბათობების მოწყობას. უვლიან ეზოს, ყვავილნარს, შეაკეთებენ ხოლმე ეზოს სკამებს, წესრიგში მოჰყავთ ირგვლივ ყველაფერი.

მთელი ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობისათვის ემზადება. კარგი იქნება, თუ „კოცონის" ერთ-ერთ შეკრებასაც ამგვარი ზეპირი გაზეთის სახეს მივცემთ და მისი საშუალებით აქტივისტები იმ სასახელო საქმეებს გაგვაცნობენ, რომლებსაც პიონერები ყრილობას უძღვნიან.

პიონერი ოთარ კანკია.
სოხუმი.

## გავუფრთხილდეთ პიონერულ ყელსახვევს

ბავშვები ერთად რომ შევიკრიბებით ხოლმე, ვინ იცის, რაზე არ ვსაუბრობთ. ვკამათობთ ყველაფერზე, რაც გვაღელვებს, გვაინტერესებს ერთმანეთის აზრი წაკითხულ წიგნზე, ნანახ სპექტაკლზე, ახალ კინოფილმზე, სპორტულ შეჯიბრებებზე, არც რგოლისა და რაზმის შეკრებებზე განხილული საკითხებია უინტერესო. ეს ეხება სწავლაში ჩამორჩენილებისადმი დახმარებას, თემურელთა მუშაობას, იმას, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, რათა ოქტომბრელთა ჯგუფში მოწყენილობა არ იყოს, ვმსჯელობთ პიონერული დავალებისადმი ზოგიერთის დამოკიდებულებაზე და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც წითელი ყელსახვევისადმი პიონერის დამოკიდებულება მიგვაჩნია.




პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას
ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა
რესპუბლიკური საბჭოს წევრი
ნათელა ფაილოძე

ერთხელ პიონერული აქტივის სკოლის მეცადინეობაზე ამ თემაზე წამოვიწყეთ საუბარი; ყველა ისე ალაპარაკდა, მივხვდი, ეს თემა ყველას აღელვებდა. ზოგიერთმა ისეთი პიონერებიც დაასახელა, რომლებიც უპატივცემლოდ ეპყრობიან პიონერულ ყელსახვევს. დამთავრდება თუ არა გაკვეთილები, მაშინვე იხსნიან და ჯიბეში იკუჭავენ, ბოლოებს კბილებით უწიწკნიან; ზოგი კაზედ წარწერებსაც უკეთებს. ჩვენ საზეიმო დაპირების მიცემის დროს ფიცი დავდეთ, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ყელსახვევს. შევასრულებთ ამ დაპირებას, განა შეიძლება ამის დავიწყება?

ასე მგონია, ეს იქ ხდება, სადაც პიონერული აქტივის სკოლა არ მუშაობს, პიონერები სუსტად იცნობენ პიონერთა ორგანიზაციის ისტორიას, ივიწყებენ ნორჩ პიონერთა კანონებს, საინტერესო მუშაობა არ ტარდება გმირი პიონერების მოსაგონებლად და ასე შემდეგ. სხვანაირად როგორ ავხსნათ ზოგიერთი პიონერის ასეთი უპატივცემლო დამოკიდებულება ალისფერი ყელსახვევის მიმართ?

ამ თემაზე ერთხელ საკამათოდაც შევიკრიბეთ. ყველამ თავისი მოსაზრება გამოთქვა, ზოგიერთმა მკაცრადაც.

— ის, ვინც ყელსახვევს არ ატარებს, უნდა გაირიცხოს პიონერთა ორგანიზაციის რიგებიდან.

— არა, არც ასე მკაცრად გადაწყვეტა არ შეიძლება! — არ დაეთანხმნენ მათ მეორენი.

— ყელსახვევისადმი ფაქიზ მოპყრობას თითოეული თავიდანვე უნდა მიეჩვიოს. ყველამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პიონერულ ზეიმებში; მოისმინოს პიონერული ორგანიზაციის ვეტერანთა საუბრები ამ თემაზე.

შევიტყვე, რომ ზოგიერთ რაზმეულში პიონერულ ყელსახვევთან დამშვიდობების საინტერესო ცერემონიალები ტარდება. როცა პიონერები კომკავშირელები ხდებიან, თავიანთ ყელსახვევებს მესამეკლასელთა ახლად შექმნილი რაზმის პიონერებს გადასცემენ.

ერთ რაზმეულში თურმე უფროსი პიონერები, რომლებიც პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეს მიიღეს კომკავშირის რიგებში, რაზმეულის ხაზზე დაემშვიდობნენ თავიანთ ყელსახვევს და რაზმეულის დროშაზე დაამაგრეს ისინი. შემდეგ ეს ყელსახვევები პიონერთა რიგებში ახლად მიღებულ ოქტომბრელებს გადაეცათ.

მომეწონა ერთი სკოლის რაზმეულის ტრადიციაც. უმცროსი პიონერები პიონერთა ორგანიზაციის რიგებში შესვლის პირველი დღიდანვე სწავლობენ ყელსახვევის მოფრთხილებას. თურმე ამ რაზმეულში დაჭმუჭნულ, ბოლოებდაღეჭილ ყელსახვევს ვერ წააწყდები, პიონერებს პიონერული ყელსახვევი ყველაზე ძვირფასად მიაჩნიათ.

უფროსი პიონერები მას უმცროსებს გადასცემენ, როგორც სანაქებო პიონერული საქმეების, ტრადიციების ესტაფეტას.

პიონერი
ოთარ კინწურაშვილი,
თბილისი.

●

ორ ოქტომბერს საკავშირო პიონერულ ხაზზე სტარტი აიღო ახალმა პიონერულმა საქმეებმა. თითოეული პიონერის წინაშე ფართო სამოქმედო ასპარეზია გადაშლილი. განსაზღვრულია კონკრეტული საქმეები. საყრილობო სამზადისში მონაწილეობს ყველა რიგითი პიონერი, რგოლი, რაზმი, რაზმეული. რაზმეულში მარშრუტების მიხედვით გაშლილ მუშაობას თავისი მეთაურები ჰყავს — პიონერინსტრუქტორები თუ აქტივისტები, საქმის კარგი ორგანიზატორი პიონერები. მათ ალბათ ყოველდღიურ საქმიანობაში ნაკლოვანებებიც ჰქონიათ, თანარაზმელებთან თუ თანარგოლელებთან ურთიერთობაში წინააღმდეგობებიც შეხვედრიათ. ჰოდა, გვინდა, რომ გამოგვეხმაურონ, გაგვიზიარონ, როგორ ემზადებიან სკკპ 27-ე ყრილობისათვის, მზადების პერიოდში რით გამოირჩევა მათი რგოლი, რაზმი თუ რაზმეული.

გვინდა, მათ თავიანთი ბარათებით მონაწილეობა მიიღონ „კოცონის" მრგვალი მაგიდის ირგვლივ გამართულ საუბარში. ველით თქვენს წერილებს, აქტივისტებო!

# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული
მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

## ქართული ჭადრაკის ხვალინდელი დღე

გთავაზობთ იმედის მომცემ ნორჩ მოჭადრაკეთა შემოქმედებას, რომელშიც ნიჭიერება საოცრადაა შერწყმული შრომისმოყვარეობასთან.

პარტია საქართველოსა და ლენინგრადის ჭაბუკთა გუნდების შეხვედრიდან.

რომანოვი (ლენინგრადი. ოსტატობის კანდიდატი) — ბალათურია (სოხუმი. ოსტატობის კანდიდატი), ლენინგრადი, 1984 წელი. აპრილი. კარო-კანის დაცვა 1. e4 c6 2. d4 d5 3. e5 კf5 4. მc3 e6 5. g4 კg6 6. მge2 c5 7. h4 h6 (h5) 8. h5 კh7 9. კe3 მc6 10. f4 ლa5 11. ლd2 0—0—0 12. a3?! მge7 13. 0—0—0 (13. dc d4!) 13. ... c4! (ამით თეთრების ლაზიერის ფრთა პარალიზებულია. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილია) 14 ეg1 (14. მa2! ლa4! 15. მc3 ლa6 და შემდეგ როგორც პარტიაში. 15. მb4 მ×b4) 14. ... b5 15. მa2 ლb6 16. მg3 a5 17. c3? (აჩქარებს წაგებას) 17. ... b4! 18. cb ab 19. მ×b4 (19. ab ლa7) 19. ... მa5! რამაზ ბალათურიამ ოსტატურად ჩაატარა ბრძოლა და შექმნა კარგი მინიატურა!

ერთ-ერთი საუკეთესო პარტია საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატიდან:

ჯანჯღავა (თბილისი. ოსტატობის კანდიდატი) — სუპატაშვილი (ქუთაისი. ოსტატობის კანდიდატი), სიღნაღი, 1984 წელი, ოქტომბერი. ფრანგული დაცვა 1. e4 e6 2. d4 d5 3. e5 c5 4. c3 მc6 5. მf3 კd7 6. dc (6. კe2, 6. a3!?) 6. ... კ×c5 7. კd3 მge7 8. კf4 მg6 (თეთრებმა მიიღეს ნიმცოვიჩის სისტემის მსგავსი განლაგება, იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ განვითარებაში ჩამორჩნენ) 9. ...f6 10. 0—0? (ჯობდა 10. ef იხ. ხოლმოვი—ნაუმკინი) 10. ... f5 11. ლd2 0—0 (შავები უკვე ქმნიან მუქარას. ინიციატივა მათ მხარეზეა) 12. კf4 მ×f4 13. ლ×f4 h6 14. h4 კe7 15. მa3 g5 (ინიციატივა გადაიზარდა შეტევაში მეფის ფრთაზე) 16. ლd2 ეf7 (16. ... g4 17. ლ×h6 gf 18. ლg6=) 17. c4 g4 18. მe1 d4 19. მec2 კ×a3 20. ba ლ×h4 21. ეfe1 g3! 22. gf ლ×g3 23. ეad1 მ×e5 24. მ×d4 მg4 25. მf3 კc6 26. ლe2 e5 27. c5 კ×f3 28. ლ×f3 ლh2 29. მფf1 e4 თეთრები დანებდნენ. ამ შეხვედრაში რელიეფურად გამოვლინდა ხვიჩა სუპატაშვილის სტრატეგიულად გამართული მახვილგონივრული თამაში.

თბილისის ჭაბუკთა 1982 წლის პირველობა:

ლოგუანიძე



ბრეგაძე

მწვავე პოზიციაა. დავით ბრეგაძე აგნებს პრობლემის ბრწყინვალე კომბინაციურ გადაწყვეტას. 1. ე×f6! კ×f6 2. მf5! და შავები დანებდნენ.

აკაკი იაშვილი — 11 წლისაა. ოსტატობის კანდიდატი. „თეთრი ეტლის" საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (სწავლების მესამე წელი), ამჟამად საქართველოს ჩემპიონი უმცროს ასაკში, სიღნაღის კომკავშირის კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო პარტიისათვის.

ბალათურია (სოხუმი. ოსტატობის კანდიდატი) — იაშვილი (თბილისი. ოსტატობის კანდიდატი). სიღნაღი, 1984 წელი, ოქტომბერი. ლაზიერის პაიკის დასაწყისი. 1. მf3 d5 2. d4 e6 3. e3 მf6 4. კd3 c5 5. b3 ლa5 6. კd2 (?) (6. მbd2, იხ. იუსუპოვი — მაილსი, „საუკუნის მატჩი". ლონდონი, 1984 წ.) 6. ... ლc7 7. 0—0 cd 8. ed მc6 9. a3 კd7 10. ლe2 ეc8 11. კc3? კd6 12. მe5 0—0 13. მფh1 (13. f4 მe7! 14. კb2 მe4!) 13. ... ლb6! 14. ლd2 ლc7 15. ეe1 ეfd8 16. ლf4 კe8 17. ლh4 მe4 (პაიკის შეწირვით იცვლება თეთრების მნიშვნელოვანი კუ, იხსნება ხაზები იდეალურად მობილიზებული შავი ფიგურებისათვის და ისინი ეუფლებიან ინიციატივას) 18. კ×e4 de 19. ლ×e4 (19. ე×e4 მ×e5 20. de



## თვალი რომ არ ეცეთ

ჩრდილოეთ კამერუნში მცხოვრები ნამჩის ტომის ვაჟებს დიდი მოთმინება მართებთ, ვიდრე მათ მოზრდილ მამაკაცთა რანგში აიყვანენ. ადათის თანახმად, სრულასაკოვან მამაკაცად „კურთხევამდე" მათ მთელი თვე სახლში ჩაკეტილებმა უნდა გაატარონ. მაგრამ მინდვრის სამუშაოები მთელი თვის იძულებით შვებულებას არავის ანებებენ. თან მეგობრებთან შეხვედრისა და გასაუბრების სურვილიც დიდია... ყველაფერი ეს აკრძალული როდი გახლავთ, მაგრამ ვაითუ ამ დროს ვინმე ქალმა მოჰკრას თვალი! პოდა, ეს რომ არ მოხდეს, ხალხმა ასეთი გამოსავალი გამონახა: ვაჟს თან დააქვს ხოლმე თავისი ქოხი — და ვერავითარი ბოროტი მზერა მას ვეღარაფერს აკლებს. დაინახავს თუ არა მომავალ ქალს, ვაჟი დაიჩოქებს, მჭიდროდ დახურავს თავისი ქოხის სარკმელს და ასე იცდის, ვიდრე ქალი თვალს არ მიეფარება.

## მიწისქვეშა ზოოპარკი

არდენის დეპარტამენტში (სამხრეთ საფრანგეთი), 200 მეტრის სიღრმე კარსტულ მღვიმეში მოწყობილია ზოოპარკი, სადაც თავმოყრილია ის ცხოველები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სიბნელეში ცხოვრობენ: ამფიბიები, თევზები, ობობები, ღამურები..

## საქმეს პამიდორი უშველის

ბუზი რომ აბეზარი მწერია, ეს ქალაქელებმაც კარგად იციან და სოფლელებმაც. ქიმიური პრეპარატები ყოველთვის ვერ იძლევიან საჭირო ეფექტს და, გარდა ამისა, ვნებენ კიდეც ადამიანს. არადა, თუ დასავლეთგერმანელ ბიოლოგებს დავუჯერებთ, არსებობს ბუზებთან ბრძოლის სავსებით ნაღდი და მარტივი საშუალება: საკმარისია ოთახში დავდგათ რამდენიმე პამიდვრის ბუჩქიანი ქოთანი, და ბუზები თქვენს ბინას სათოფეზე აღარ გაეკარებიან.



კ×e5!) 19. ... მ×e5 20. de კc5 21. ლe2 ლb6 22. მფg1 (22. f4 კd4 ან კb5) 22. ... კb5 23. ლf3 ეd5 (დომინაცია). 24. b4 (24. მd2 კ×f2 25. ლ×f2 ლ×f2 26. მფ×f2 ე×c3) 24. ... კd4 25. კ×d4 ლ×d4 26. c3 ე×e5! (მზარდი ინიციატივის მატერია-ლიზება!) 27. ეd1 ლb6! 28. მd2 კe2 29. ლg3 ეd5 30. c4 ეd3 31. c5 ლc6(!) 32. ლf4 კ×d1 33. ე×d1 ლd5 34. მფf1 ეd8 35. მფe2 e5 (g5!) 36. ლg5 f6 თეთ-რები დანებდნენ.

აკაკი იაშვილმა მთელი პარ-ტია ჩაატარა როგორც ნამდვი-ლმა ოსტატმა!

გიზო ჭურღულია — საქართ-ველოს ჭაბუკთა 1984 წლის ჩე-მპიონია, მოსწავლეთა საკავში-რო სპარტაკიადის ვერცხლის მედლის მფლობელი. პარტია გუნდური შეხვედრიდან. ლენი-ნგრადი. 1984 წელი, აპრილი.

სონიუშკინი (ლენინგრადი. ოსტატობის კანდიდატი) — ჭურღულია (ზუგდიდი. ოსტა-ტობის კანდიდატი) სიცილიური დაცვა 1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ×d4 g6 5. კe2 კg7 6. მb3 მf6 7. მc3 0—0 8. 0—0 d6 9. კg5 a6 10. მფh1?! (10. f4) 10. ... b5 11. a3 კe6 12. f4 ეc8 13. კf3 კc4 14. ეe1 e5 15. მd5 ef 16. c3 მ×e4! 17. კ×e4 ლ×g5 18. მb6 d5!! (მე-ტად საყურადღებო მომენტია — ჭურღულია მშვენივრად გა-ერკვა ფიგურათა ღირებულე-ბების ცვალებადობაში! აი, ეს არის მნიშვნელოვანი და არა — სადებიუტო ვარიანტების ზუთ-ხვა!) 19. მ×c8 de 20. მb6 ეd8 21. ლc2 კ×b3 22. ლ×b3 f3 (ინიციატივა გადაიზარდა მეფე-ზე პირდაპირ შეტევაში) 23. gf (23. ეg1 ეd2 24. g3 ე×h2!) 23. ... ეd2 24. ეg1 ე×h2! თეთრე-ბი დანებდნენ.

გიზო ჭურღულიას ბრწყინვა-ლე შემოქმედებითი გამარჯვე-ბაა!

სპორტსაზოგადოება „დინა-მოს" ჭაბუკთა საკავშირო ჩემ-პიონატი:

ჯანჯღავა (თბილისი. ოს-ტატობის კანდიდატი) — მჭედ-ლიშვილი (თბილისი. ოსტა-ტობის კანდიდატი) ხარკოვი, 1983 წელი. ესპანური პარტია 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. d4 ed 6. 0—0 კc5? (კe7) 7. e5 მd5 8. c3 0—0 9. cd კe7 10. კb3 მb6 11. d5 მa5 12. d6! cd 13. ed კf6 14. მc3! კ×c3 15. bc ლf6 16. კg5 ლ×c3 17. ეc1 ლb4 18. კd2 ლa3 19. კ×a5 ლ×a5 20. ლd4!! ეb8 21. ეc5 ლa3 22. ეg5 g6 23. ლ×b6 ეa8 24. ეa5 ლb2 25. კ×f7! შავები დანებდნენ.

კახა შალამბერიძე 15 წლი-საა, ოსტატობის კანდიდატი. (სწავლების მეშვიდე წელი) თბილისის 1984 წლის ჩემპი-ონი ვაჟებში (პირველი შემთხ-ვევაა თბილისის ჩემპიონატე-ბის ისტორიაში, რომ მოსწავ-ლე ხდება ჩემპიონი). საუკე-თესო პარტია ამ ჩემპიონატი-დან:

შალამბერიძე (თბილისი. ოსტატობის კანდიდატი) — ავეტისიანი (ერევანი. კონ-კურსგარეშე. ოსტატობის კან-დიდატი) თბილისი, 1984 წელი. ინგლისური დასაწყისი 1. c4 მf6 2. მc3 e5 3. g3 კb4 4. კg2 მc6 5. e4!? (5. მf5 იხ. რომანი-შინი — ტაიმანოვი. 1977 წ.) 5. ... 0—0 6. მge2 d6 7. 0—0 კe6 8. მd5 კc5 9. d3 h6 10. h3 მd4 11. მფh2 მ×e2 12. ლ×e2 მ×d5 13. cd კd7 14. g4 c6 15. dc კ×c6 16. f4 კd4 (პირველი უზუსტობა) 17. f5 f6 18. h4 მფf7 (მეორე უზუსტობა. 18. ... d5! — ცენტრში კონტრთამა-შით) 19. მფg3 ეh8 20. ლc2 ლd7 21. g5 hg 22. hg ეac8 23. a4! კd5? (მესამე უზუსტობა) 24. ლd1 კc6 25. ლb3 მფe7 26. კd2 b6 27. ეh1 a5 28. კf3 კb7 29. g6 d5 30. მფg4! კa6 31. ed ეcd8(!) (მუქარაა 32. ... ლ×f5!!; არ ვარგოდა 31. ... ეc8? 32. d6!-ის გამო) 32. ეac1! ე×h1 33. d6! მფ×d6 34. ეc6 შავები დანებდნენ.

ეს პარტია ნორჩი ჩემპიონის შემოქმედებითი მიღწევაა!

საქართველოს გოგონათა ჩე-მპიონატი (სიღნაღი, 1984 წელი ოქტომბერი). საუკეთესო საშა-მათო კომბინაცია. თეთრებითაა ქუთაისის მე-15 საშუალო სკო-ლის მოსწავლე, 10 წლის თეა ლანჩავა, პირველთანრიგოსანი, ამჟამად საქართველოს ჩემპიო-ნი უმცროს ასაკში.

მერეკლიშვილი



ლანჩავა —

სვლა თეთრებისაა.

თვალში საცემია დისჰარმო-ნია შავი ფიგურების განლაგე-ბაში, რაც, აგრეთვე, იწვევს მე-8 ჰორიზონტალის დასუსტე-ბასაც, რითაც შესანიშნავად სა-რგებლობს თეა ლანჩავა.

ველით თქვენს პასუხს.

საინტერესო

სიახლენი

## ავტომატური აკუმულატორი

იაპონელმა სპეციალისტებმა შექმნეს აკუმულატორი, რო-მელშიაც შეიძლება გამოხდი-ლი წყალი არ ჩაასხათ ხუთი წლის განმავლობაში. სპეცია-ლური კატალიზატორი აკა-ვებს წყალბადს, რომელიც აკუმულატორის მუშაობისას გამოიყოფა, აერთებს მას ჰა-ერის ჟანგბადთან და ამ გზით თვითონვე აწარმოებს საჭირო დისტილირებულ წყალს.

## მხოლოდ ეკონომიური

მსუბუქმა ავტომანქანებმა მომავალში ყოველი ასი კი-ლომეტრის გარბენისას არ უნ-და დახარჯონ ექვს ლიტრზე მეტი ბენზინი — ნაცვლად ახ-ლანდელი რვა-თორმეტი ლიტ-რისა. ეს დაადგინა საფრან-გეთის მთავრობამ. 1990 წლი-დან საფრანგეთში მხოლოდ ასეთი ეკონომიური მანქანების გამოშვებაა ნებადართული...

## ერთისაგან — ორი

ტოკიოს ახლოს, სუძუკის დასასვენებელ პარკში ჩატარ-და საერთაშორისო კონკურსი დევიზით „შემოქმედებისაკენ — იუმორისა და ექსცენტრუ-ლობის გავლით". კონკურსში გაიმარჯვა ავტომობილმა, რო-მელიც, მათი შემქმნელების თქმით, მომავალში გადაჭრის დიდი ქალაქების სატრანსპო-რტო პრობლემებს. ერთი შე-ხედვით ეს ჩვეულებრივი ავ-ტომობილია. მაგრამ მას ორი საჭე და ორი ძრავა აქვს (თი-თოეული — 55 სმ³ მოცულო-ბით). საჭირო ჟამს, როცა გზაზე მოძრაობა შეიკვრება ან გასასვლელი ძალზე ვიწ-როა, ავტომობილი ორ ცალ-კეულ მანქანად იყოფა ხოლმე.

## სახლი კუთხეების გარეშე

ჰოლანდიელი არქიტექტო-რის დროს კაიკამპის პროექ-ტით ქალაქ ჰერტოგენბოსის გარეუბანში შარშან ააშენეს 50 ერთბინიანი სახლი — ცალ-ფეხზე შემდგარი 50 სფერო. ცილინდრულ საყრდენში მო-თავსებულია კიბე, კიბის ქვე-



მოთ — საკუჭნაო. ქვედა ნა-ხევარსფეროში განლაგებულია საწოლი ოთახი, კაბინეტი და სანტექნიკური კვანძი, ზედაში — საცხოვრებელი ოთახი და სამზარეულო. სფეროს დიამე-ტრი ხუთნახევარი მეტრია.



● თუ ლითონის, ელვა-საკინძი მოგეშალა, მის გამოცვლას ნუ იჩქარებ: დააფინე იგი ხის ძელაკზე და ჩაქუჩის მსუბუქი დარტყმებით „გამოჭედე“ ორივე მხრიდან. ასე აჭყლე-ჩაჭყლე 2-3-ჯერ. ბოლოს კი ოდნავ შეამცირე ღრეჩო ზედა და ქვედა ნაწილებს შორის



● გასაშლელი საწოლის რკალისებური ფეხისაგან შეგიძლია რამდენიმე წუთში დაამზადო დაზგა მშვილდა ხერხისათვის. 70 სმ სიგრძე ხერხის ტანი (ПОЛОТНО) მილის განაჭერებში ჩასვი და ლურსმნის წკირით დაამაგრე. ამ მსუბუქი ხერხით შეგიძლია იმუშაო მარტოც და მეწყვილესთან ერთადაც. იგი თავისუფლად გადახერხავს 40 სმ-მდე სისქის ძელს.



● არის შემთხვევები, როდესაც ხის დეტალებში ზუსტად 90°-იანი ხვრელების გაბურღვაა საჭირო. ასეთ დროს ძალზე დაგეხმარება ერთი მარტივი მოწყობილობა. ეს არის მაგარი ხის კუბურა (кубик), რომელშიაც დიდი სიზუსტითაა გაჭრილი ეტალონური ხვრელები. ამ კონდუქტორის დახმარებით შეგიძლია მთელი სამუშაო სწრაფად და ხარისხიანად შეასრულო.



● არსებობს ხერხი, რომლის მეშვეობითაც შეგიძლია ჩვეულებრივი შპალერი გარდაქმნა ისეთად, რომელიც ირეცხება. კედელზე აკრულ შპალერს წაუსვი ПВА წებო (4 წილი წებო და 1 წილი წყალი). როცა იგი გაშრება, ზემოდან ავეჯის ან პარკეტის უფერო ლაქის რამდენიმე ფენა გადაუსვი. შეიძლება ПВА წებო საერთოდ არ იხმარო. ასეთ შემთხვევაში შპალერის ფერი უფრო ინტენსიური გამოვა. მაგრამ შპალერის აკვრისას განსაკუთრებული აკურატულობა გმართებს, რადგან ლაქი ყველა დეფექტს მკვეთრად წარმოაჩენს ხოლმე.



● ფოტოსურათების ბეჭდვისას თხელი ქაღალდი იგრაგნება და ჩარჩოში მისი მოთავსება ძნელდება ხოლმე. თუ ქაღალდს წინასწარ ოდნავ დაასველებ და მერე ზედმეტ სითხეს მოაცილებ, ბეჭდვა უჩარჩოოდაც შეგეძლება. გარდა იმისა, რომ ფურცელი აღარ იგრაგნება, ეს წესი სხვა მხრითაც არის ხელსაყრელი: მცირდება სამჟღავნის ხარჯი, ჩქარდება გამჟღავნების დრო და პროცესიც გაცილებით უფრო თანაბრად მიმდინარეობს.



# საძიებელი

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს მიმართვა ჩვენი ქვეყნის ნორჩი ლენინელებისადმი . . . . . . . გარეკ. 2
მ. კარგარეთელი — სასახელო საქმეთა სტარტი (წერილი) . . 1
ლ. ქარიკოვი — „ლენინმა გამოგვიგზავნა“ (მოთხრობა) . 2
მ. არაგული — გიგას აღმართ-დაღმართები (მოთხრობა, გაგრძელება) . . . . . . . . . . . . . 4
მ. გელაშვილი — აი, თურმე... (ნარკვევი) . . . . . . . 10
გ. არაგული — საქართველოს; ანდალუზიის მთები; ესპანეთში (ლექსები) . . . . . . . . . 13
დ. ჭუმბურიძე — ხმა (ლექსი) . . . . . . . . . 13
მ. მიშველაძე — სამასმეერთე (ფანტასტიკური მოთხრობა) . 14
მ. თომაძე — სასურველი სტუმარი (მოგონება) . . . . . . 21
აისი . . . . . . . . . . . . 23
ვ. შტრუბე — ფრანც კარლ ახარდი (მოთხრობა) . . . . . . 24
კოცონი . . . . . . . . . . . . 29
მხედრიონი . . . . . . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . . . 30
საინტერესო სიახლენი . . . . . . . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . გარეკ. 3
„მოცეკვავე წვიმა“ (მუსიკალური ნოტი) . . . . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა გივი ნონიკაშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-92, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 25. 09. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 11. 85 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2181. ტირაჟი 155.000. ეგზ., უე 15336.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 155.000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი



**თარაზულად:** 2. ძლიერი, გამანადგურებელი ქარი; 4. მოდულებული პამიდორი; 5. ძველი ბერძნული სახელმწიფო; 8. სიკეთე. მოწყალება; 9. გადასაყრელი ლითონის ნივთი ან მისი ნაწილები; 10. ლითონის საფხეკი ფოლადის ძელაკი; 14. ტექსტის შემცველი, ერთად აკინძული ფურცლები; 15. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 19. შავიზღვისპირა კურორტი; 20. საქსოვი დაზგის ნაწილი, საგორავი; 21 ქართული ბალეტი; 24. მკვახე, დაუმწიფებელი ყურძენი; 25. ლითონის მოსაპოვებლად გამოსადეგი ლითონის შემცველი ქანი; 27. ბერძნულ მითოლოგიაში სინათლის, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთი;

**შვეულად:** 1. ტროპიკული ხეხილი; 2. ჩამომავლობა; 3. ხე-მცენარე; 4. დედამიწის არქტიკული სარტყულის სამხრეთი ზონა, უტყეო სივრცე; 6. ეკლიანი ველური ბუჩქი; 7. ვისიმე სატირული ან იუმორისტული გამოსახულება; 8. ხის ქერქქვეშა მაგარი ნაწილი; 11. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 12. ვულკანური მოქმედების შედეგად დედამიწის სიღრმიდან ამოტყორცნილი მასა; 13. მამალი ცხვარი; 16. სათეატრო ცეკვის ხელოვნება; 17. ევროპული წყვილთა ცეკვა; 18. მოწინააღმდეგის თვითმფრინავის, ხომალდის ან ტანკის დარტყმა მანქანის კორპუსით; 22. ევროპის, აზიის და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი; 23. ქალის პირბადე; 26. ყველა გემების ერთობლიობა.

შეადგინა ე. ბაბუნაშვილმა

## კითხვები გეოგრაფიიდან

1. სად შეიძლება დაიდგეს სახლი, რომლის ოთხი კედლის ოთხივე ფანჯარა ჩრდილოეთისკენ იქნება მიმართული,

2. ორი კუნძული ერთ ზღვაში, ერთმანეთის პირდაპირ მდებარეობს, ერთი მათგანი ევროპას ეკუთვნის, მეორე — აზიას. ორივეს სახელი ერთი და იმავე ბგერით იწყება. რომელია ეს კუნძულები?

3. დაასახელეთ ზღვა, რომელსაც სანაპიროები არ გააჩნია.

4. დედამიწაზე სად ჰქრის ქარი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ სამხრეთიდან?

5. შვეულმფრენი დაფრინდა ისეთ ადგილას, სადაც ჩვენს ქვეყანას ნორვეგია, დანია, კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები ესაზღვრება. სად არის ეს ადგილი?

## რამდენ დღეში ავიდოდა

ლოკოკინა 20 მეტრი სიმაღლის ხეზე ცოცავდა. ყოველდღე იგი ხუთ მეტრს გადიოდა. მაგრამ ოთხ მეტრს უკან იხევდა. რამდენ დღეში ავიდოდა ლოკოკინა ხის წვერზე?

## სახუმარო კითხვები

1. რა შეიძლება ნახო დახუჭული თვალებით?
2. ვინ ლაპარაკობს ყველა ენაზე?
3. ტვირთით მიდის, უტვირთოდ ჩერდება. რა არის?
4. როგორი საათი გვიჩვენებს სწორ დროს დღე-ღამეში ორჯერ?
5. რა კითხვაა ისეთი, რომ არავის შეუძლია გასცეს დადებითი პასუხი?

## გამოცანები

მოფრინდა ერთი ფრთოსანი,
ოთხფეხა, ხორთუმოსანი.

●

განა სიზმარში —
ცხადად
ციცქნა ვიხილე ქალი,
მის კოპლებიან კაბას
ვერ მოვაცილე თვალი.
ჩამიჩურჩულა ყურში
ამბავი მთის და ბარის.
მერე გაფრინდა უცებ,
საითაც ქროდა ქარი.

●

უცნაური რამის შემძლე
მყავს უსულო თანაშემწე
(არ გეგონოთ არაკები):
თუკი ჩემი იქნა ნება,
ისიც მელაპარაკება
და მეც ველაპარაკები.

●

ტყის ბილიკზე თავის
მსხვერპლს
დევი ჩასაფრებია,
არც თავი აქვს, არც ტანი,
ცარიელი უბებია.

●

სამი ძმა ლეწავს ერთ კალოს
და ბარემ გეტყვით აქვე:
ხან ალმა-ალმა ადიან,
ხან ეშვებიან თავქვე,
მაგრამ სამივე აკეთებს
ერთ და იმავე საქმეს.

ნ. მარიხია



## პასუხი №10-ში მოთავსებულ „სხრაკლიგულზე"

### მეტაგრამები

ლენა-სენა. ტური-ტურა.

### კროსვორდი

### პასუხი

**თარაზულად:** 1. კროკი; 3. ატლასი; 6. რეგბი; 9. ანკარა; 10. მანავი; 11. პასპორტი; 12. სომოვო; 13. ავტორი; 19. ოპონენტი; 20. იპოდრომი; 21. ექსპერტი; 24. კედროვკა; 26. ალპანა; 27. სავანე; 31. ტრაქტორი; 33. ომბალო; 34. არგანი; 35. ირისი; 36. ნიბლია; 37. ალიბი.

**შვეულად:** 1. კაკაბი; 2. ოპალი; 4. ტრანსპორტი; 5. სამარყანდი; 7. გრიგი; 8. იყალთო; 12. სოლო; 14. იაგო; 15 პიონერი; 16. ბაიდარა; 17. შნური; 18. ფონდი; 22. სილა; 23. ინკასატორი; 24. კრასნოდარი; 25. ვერე; 28. ბანანი; 29. ალჟირი; 30. კროსი; 32. ალიზი.

### საათის კალენდრით

31 დეკემბრისათვის საათის კალენდრის მაჩვენებელზე 7 იანვარი იქნება, ახალი წელი კი 25 დეკემბერს დადგება.

### სცადეთ

ფიცრის ნაჭერი 6 ტოლ ნაწილად ისე იყოფა, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები.



6482/175

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოცეკვავე წვიმა

მუსიკა იულია მეტრეველისა

ლექსი გივი ჭიჭინაძისა




## ძვირფასო ბავშვებო!

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის VII კლასის წარჩინებული მოსწავლე იულია მეტრეველი თავის ძირითად სპეციალობასთან — პიანისტობასთან ერთად წარმატებით ეუფლება კომპოზიციის საფუძვლებს.

ამას წინათ სხვადასხვა საჩვენებელ კონცერტებში აქტიური მონაწილეობისათვის იგი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

იულია მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია გივი ჭიჭინაძის ლექსებზე შექმნილი საბავშვო ვოკალური ციკლი „საქართველოს გაზაფხული". ციკლში 15 სიმღერაა შესული. გთავაზობთ ერთ მათგანს.

კომპოზიტორი ალექსი შანიძე

სამი დღეა წვიმა ცეკვავს,
დახტის წვიმა, მღერის წვიმა.
ხან ხის ტოტზე დაქანაობს,
ხან მავთულზე ყირას ჭიმავს.

ახმაურებს სახურავებს,
ფოთლებს, ქოლგებს, ფანჯრის
მინებს.
სამი დღეა დახტის, ცეკვავს,
არ ისვენებს, არ იძინებს.

აღარ დაფრენს ბაღში ჩიტი,
არც პეპელა, არც კალია.
წვიმა ხარობს: მთელ ბაღჩაში
მარტო მე ვარ, რა კარგია! —

სამი დღეა ფანჯარასთან
სხედან ვანო, ლილი, ეკა
და მოწყენით გასცქერიან
აბეზარი წვიმის ცეკვას.